

ზეთს ვაარსებდით, ან რა იგი დღეს, როცა მექვეს წელში გადავდით? ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ბრძოლას აწარმოებს ქართველი ერი, ის იყო დამწყები, ის არის გამთავებელი.

მასასადამე, გაზეთი გაჩნდა ქართველ ერის ბრძოლის საჭიროებიდან და ამიტომ თვითონაც ბრძოლის ორგანოა. როგორ ესმოდა მას ეს ბრძოლა? როგორც ქართველ ერს.

ქართველ ერის დამფუძნებელმა კრებამ სთქვა, როცა თავის კანონიერ მთავრობას უცხოეთში ისტუმრებდა: ჩვენ აქ ვაწარმოებთ განმათავისუფლებელ ბრძოლას, თქვენ იქ აწარმოებთ.

წინავეს ეს, რომ, ვინაიდან ბრძოლა ორ ადგილას სწარმოებს, სტრატეგია-ტაქტიკაც ორი უნდა იყოს? არას გზით. ბრძოლა შინ და გარეთ გადაბმულია ერთმანეთზე, ერთი გამომდინარეობს მეორიდან, ერთი დამატებაა მეორის, მთლიანია განუყოფელი. არის განსხვავება მხოლოდ მეთოდებში, თანახმათ განსხვავებულ პირობებისა აქა და იქ.

მაგრამ დასაშვებია განსხვავება გავებაში, დაფაებაში—, სადაა ის უმაღლესი ინსტანცია, რომელიც ამბობს თავის უკანასკნელ სიტყვას ამის შესახებ? იქ, საქართველოში.

გამოვდიოდით რა ამ მარტივ დებულებებიდან, გაზეთის უპირველესი და მუდმივი ცდა იმაში მდგომარეობდა, რომ თვალყური ედევნებია ქართველი ერის ბრძოლისათვის, თვითეულ მის გამოსვლისათვის, გავგა არა მარტო გარეგნული გამოქყვანება ამ ბრძოლისა, არამედ შინაგანი აზრი, მნიშვნელობა, როგორ ეგუება ეს საბჭოთა და საერთაშორისო კონიუნქტურას,—ერთი სიტყვით, წარმოედგინა მთელი პროცესი მიზეზ-შედეგების მიხედვით და ისე გაეშუქებინა თავის ფურცლებზე. უცვლელი სახრუნავი გაზეთისა, ყოველ შემთხვევაში ის იყო მუდამ, რომ ხელი შეეწყო ერისათვის მის სამკვიდრ-სასიცოცხლო ბრძოლაში, გაეადვილებინა მისთვის, რამდენიც ძალა შესწევდა, უმაგალითო ძნელ პირობებში მოქმედება.

გაზეთმა თავიდანვე აუღო ალღო ქართველ ერის გეზს, რომ, მიმდინარე ისტორიულ ხანაში, ყველა ძალები უკლებლივ ქვეყნის განთავისუფლებას უნდა მოხმარდეს, სხვა კითხვები, მისწრაფებანი უნდა დაუქვემდებარდეს ამ მთავარ მიზანს. საკაცობრიო იდეალები იმდენათ შეიძლება განხორციელდეს, რამდენათ ეროვნული იდეალები მიღწეულია, რამდენათ ადამიანი თავისუფალ ერის თავისუფალ მოქალაქედ ხდება და ამ გზით შედის კაცობრიობაში.

ყველა ძალების მოხმარება ერთი მიზნისთვის პრაქტიკულათ მოასწავებდა ყველა ეროვნულ პოლიტიკურ პარტიების ერთ ფერხულში ჩაბმას, მათგან ერთი მთლიან გაუტყველ ფრონტის შექმნას და ასე დარაზმულათ მტრისათვის დაპირდაპირებას სრულ გამარჯვებამდე. ქართველი ერი და მისი პოლიტიკური პარტიები სწორეთ ასე მოიქცენ, უკანასკნელთ შეკრეს სამღვათო კავშირი და იგივე გვიკარნახეს ჩვენ, სახლვარ-გარეთ მყოფთ.

ჩვენი გაზეთი, როგორც მისი წარწერა უჩვენებს, «საქართველოს პოლიტიკურ პარტიების ორგანო»-ა, ემსახურებოდა საერთო ფრონტს, იცავდა მას გამთიშავ მოვლენებისგან. რამდენათ მიადწია მან მიზანს, ეს სხვა საკითხია, და ეს მარტო მისგანაც არ იყო დამოკიდებული.

ჩვენ არ უარვყოფთ და არა ერთხელ კიდევ გვითქვამს, რომ ფრონტის გარეშეც არიან პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც ებრძვიან მას, იმ ზომამდე ებრძვიან, რომ თითქმის სრულიად ივიწყებენ საერთო მტერს! აი, რაა დაუშვებელი, მავნე, დამღუპველი.

საქართველოდან მოღწეულმა ხმამ ჩვენ უკვე გავაფრთხილა ერთხელ, გვიკარნახა კიდევ სასტიკი ბრძოლა გამდგართ, მთავრობისა და საერთო ფრონტის უარმყოფელთ. ჩვენ მოვუწოდეთ მათ გაერთიანებისაკენ, ამით დავამთავრეთ მესუთე წელი.

წელიწადი, რომელიც დამთავრდა თავდადებულ ნოე რამიშვილის დაღუპვით! ვისი ხელით? მტრის ხელით. დიას, მან გაბედა ეს და მით დაამტკიცა ჩვენი სისუსტე!

არა ერის, არა მის მებრძოლ პარტიების, არამედ პოლიტიკურ ემიგრაციის. სანამდის უნდა ვიცადოთ გულ-ხელ-დაკრფილი? ნუ თუ მანამდის, სანამ მეორე გაფრთხილება არ მოგვივა სამშობლოდან?!

ეს იქნებოდა ფრიად სამწუხარო. ჩვენ გვმართებს თავიდან ავიცილოთ ყოველი გაუგებრობა, ყოველი დისონანსი პოლიტიკურ ემიგრაციასა და საქართველოში მებრძოლ ეროვნულ პარტიებ შორის. დრო არ იცდის, დიდია პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ისტორიის წინაშე.

«დამოუკიდებელი საქართველო, შედის რა თავის არსებობის მექვეს წელში, კვლავინდებურათ განაგრძობს თავის პატრიოტულ მოვალეობის ასრულებას იმ იმედით და მსურველი სურვილით, რომ მკითხველნი, ეროვნული პარტიები, ხელმძღვანელნი აასრულებენ მას თავის მხრითაც.



პატოზისათვის, პატოზისათვის და კიდევ პატოზისათვის

ჩვენი ერთობა—უცხოეთში საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლ ძალთა გაერთიანება—დღეს მეტად მწვავე და აქტუალური საკითხია. ერთი მტკიცე მთლიანი ფრონტის დარღვევა და ემიგრაციაში სხვადასხვა ჯგუფის შექმნა, რომელნიც მთავარ ყურადღებას ერთმანეთის წინააღმდეგობას და ხელის შეშლას აქცევენ.—ჩვენს საქმეს დიდს ზიანს აყენებს. თქმა არ უნდა, რომ საქართველოს განთავისუფლება საქართველოში მოხდება, განმათავისუფლებელი მუშაობის მთავარი დერძი იქ არის, სადაც სცემს ქართველი ერის გული, სადაც შემოკრებილია მისი სასიცოცხლო ძალები, სადაც უშუალო განცდაა ბოლშევიკური უღლის, ჭირის და უბედურობის და სადაც მომავალი თავისუფლების შუქი რეალურად ათობს, ამხნეებს და ასულდგმულებს განაწამებს ხალხს. მაგრამ ისიც უყველია, რომ საზღვარგარეთ გარდამოხვეწილ ქართველთა მოქმედებას დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს ჩვენი ერის ბრძოლას: აქ უცხოეთში თავშეფარებულია საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა, მატარებელი ქართველი ერის პოლიტიკურ-იურიდიულ სახეობის და აღსურვილი ეროვნული მანდატი, აქ აფრიალებულია ჩვენი დამოუკიდებლობის დროშა, აქაა ჩვენი საელჩო, აქ არიან თავმოყრილი ჩვენი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი, რომლებიც წინაშე გაშლილია თავისუფალი მოქმედების სარბიელი.

ამის მნიშვნელობას ნათლად ხედავენ ჩვენი მტრები—ბოლშევიკები, რომლებიც ყოველნაირ საშუალებას ხმარობენ აქაური მუშაობის ჩასაშლელად და მოსასპობლად. განსაკუთრებული გააფთრება დაეცო მათ ბოლო დროს—გადაწყვეტილი აქვთ, არავითარ დაბრკოლებას არ გაუწიონ ანგარიში და რადაც უნდა დაუჯდეთ, უნდათ აქაური მუშაობის შეჩერება. ესევე გარემოება, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგენი როგორც მემარჯვენე თუ მემარცხენე რუსებში ისე სხვა ერებში გაფაციცებით ადვენენ თვალყურს ქართველ გარდამოხვეწილთა მოღვაწეობას, ძალზე შეხარბიან ყოველს განხეთქილებას ჩვენს შორის და სარგებლობენ მას ჩვენი საქმისთვის ლახვარის ჩასაცემად. და ჩვენი მეგობარი უცხოელნიც ისე გვიყურებენ ქართველ ემიგრანტებს, როგორც ქართველი ერის რწმუნებულებს და როცა ხედავენ, რომ ჩვენი არაა ერთსულოვანება, გული უტრუფდებათ ჩვენს საკითხზე და წინანდებურის ხალისით აღარ გვიწოდებენ მეგობრულ ხელს.

ამასვე ლაღადებენ საქართველოდან მოსული ცნობები: იქ პირდაპირ აღმოფოთებას იწვევს ევროპაში მყოფ ზოგი ქართველის ცალკე განდგომა და მთლიანი ფრონტის დარღვევა. იქაურებისთვის აბსოლუტურად გაუგებარია ასეთი საქციე-

ლი, სრულიად შეუწყნარებელი და დაუშვებელი, და გადაქრით მოუწოდებენ ყველას ერთობისათვის, ერთი დროშის გარშემო შემოკრებისათვის.

ეს დროშა ქართველმა ხალხმა თავის მთავრობას ჩააბარა ათი წლის წინად და დღესაც ამას ადასტურებს. და მოითხოვს ყველასაგან—ჩვენგან, ვისაც ბედმა გვარგუნა აქ ყოფნა—გვერდში ამოვუდგეთ საქართველოს კანონიერ მთავრობას განმათავისუფლებელ მუშაობაში, გავამაგროთ, დავეხმაროთ; დავენხმაროთ, თავიდან აიცილონ შეცთომები, მასთან ერთად ვებრძოლოთ საქართველოს მტრებს, მასთან ერთად განვაძტვიცოთ კავშირი მეგობრებთან, მასთან ერთად გავკაფოთ გზა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის!

ასეთია ხმა ქართველ მამულიშვილთა საქართველოდან მოსული და სხვანაირი მსჯავრი წარმოუდგენელიცაა. დღეს აქ ქართველისათვის, რომელსაც ერთი სათაყვანებელი საგანი აქვს მხოლოდ—სამშობლოს განთავისუფლება და ამას უმორჩილებს ყოველ თავის ფიქრს, სხვა მესამე გზა არ არსებობს: ან მთავრობასთან და საქართველოსთვის, ან მთავრობის დამოკლებით და საქართველოს საწინააღმდეგოთ. თვით ბრძოლა მთავრობის ამა თუ იმ კერძო მოქმედების წინააღმდეგ შესაძლებელია მხოლოდ მთავრობასთან ყოფნის დროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აუცილებლად მიიღებს, ნებისთუ უნებლიეთ, თვითონ საქართველოს საკითხისთვის საზიანო ხასიათს. ეს ადვილი არაა ყოველთვის, შეიძლება; ეს ძნელია, მაგრამ უნდა დაძლეულ იქნეს ეს სიძნელე უმაღლესი მოქალაქობრივი შეგნებით.

საქირთა ყველა გულწრფელი და პატიოსანი ქართველი მამულიშვილი, რა ჯგუფსაც უნდა ეკუთვნოდეს, გულდამვიდებით და სიფხიზლით ჩაუკვირდეს მდგომარეობას: ჩაუკვირდეს ჩვენი საქმის სიმძიმეს და სირთულეს, ჩაუკვირდეს ბოლშევიკების გამწარებულ გამოლაშქრებას, ჩაუკვირდეს ჩვენი მოწინააღმდეგეების მუიძრო შეკავშირებას და დარაზმვას, ჩაუკვირდეს ჩვენი საკუთარი ძალების სისუსტეს. ჯგუფური თუ პირადული განსგვავება მცირა და სუსტი შედარებით ამ მდგომარეობასთან და სამშობლოს დიადმა სიყვარულმა იმაზე უნდა მიუთითოს ყველას, რომ წარმატება, ხსნა, გამარჯვება მხოლოდ გაერთიანებაშია, გაერთიანებაში სულით და გულით, მკლავით და ღონით, ბრძოლით. მუიძროთ და მტკიცედ ამოვუდგეთ ერთიმეორეს გვერდში, ძმურად მივცეთ ერთმანეთს ხელი და მაშინ მტერი, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოვიდეს, დამარცხებული იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დახმარების მაგიერ კიდევ უფრო დავამძიმებთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას...

ხ. ფიშინაძე.

წერილი საქართველოდან

დღეს თვით ევროპისათვისაც ნათელი გახდა, რომ საქართველო უდიდეს კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანაა, რომ მას საკუთარი ეროვნული კულტურა გააჩნდა, საკუთარი ხელოვნება და მეცნიერება და რაც მთავარია, სანიმუშო სახელმწიფოებრივობა.

ერთის საუკუნის განმავლობაში თავგამოდებით ებრძოდა ცარიტული რუსეთი ამ კულტურას, უნდოდა მისი მოსპობა, მისი დასამარება, მაგრამ ის რაც საუკუნეთა განმავლობაში ვერ შესძლევს საქართველოს ძლევაში მტრებმა, რუსეთი ერთ საუკუნეში როგორ მოახერხებდა!

საქართველოს საუკეთესო შვილები არ ივიწყებდნენ თავიანთ წმინდათა წმინდას—ერის თავისუფლებას და აშკარა თუ ფარულ ბრძოლას აწარმოებდნენ უთანასწორო მტერთან. და აი, დადგა ისტორიული უამი, რუსეთის დიდმა რევოლუციამ თავისუფლება არგუნა პატარა ერებს და მათ შორის საქართველოსაც. საქართველო თავისი თავის ბატონ-პატრონი, თავის ბედის მესაჯე შეიქნა. და ამ უდიდეს ისტორიულ მომენტის, ქართველი ერის განთავისუფლების პირში შვილია ქართული უნივერსიტეტი, ეს ჩვენი ეროვნული სიამაყე. ერის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას მისი კულტურული დამოუკიდებლობა აგვირგვინებს, ეროვნულ—კულტურული შემოქმედება, რომელიც შესძლებს თავისი წვლილი შეიტანოს საკაცობრივ ღირებულებათა საღაროში. ამ უდიდეს ისტორიულ მისიის შესრულება იკისრა საქართველოს უნივერსიტეტმა. მას უნდა განეახლებია ჩვენი კულტურული ტრადიციები, საფუძველი უნდა ჩაეყარა ქართულ მეცნიერებისათვის. მაგრამ ბოლშევიკების ბარბაროსულმა შემოსევამ არ დააცალა მას ამ დიად ისტორიულ დანიშნულების შესრულება.


1925 წლამდე ჩვენი უნივერსიტეტი შედარებით დამუკიდებელი იყო. ახალგაზღვრება მხურვალეთ ეწაფებოდა მშობლიურ ენაზე უმაღლეს ცოდნის მიღებას. მიუხედავად ფინანსურად შევიწროებული პირობების (მთავრობა თითქმის არავითარ დანხარებას არ უწყევდა უნივერსიტეტს), იქ ნამდვილი შემოქმედებითი ენტუზიაზმი მეფობდა. ყველა კარგათ გრძნობდა, თუ რა საპასუხისმგებლო პოსტზე იდგა, ყველას შეგნებული ჰქონდა, რომ კულტურული ერთიანობა საუკეთესო იარაღია მტერთან ბრძოლაში. მაგრამ ეს მდგომარეობა არც ბოლშევიკების მსუნავ ყნოსვას გამოეპარა. მათ კარგათ იცოდნენ, რომ საქართველოს მოწინავე ახალგაზღვრება მათი დაუძინებელი მტერია, ესლა ისინი ხედავენ ამ ახალგაზღვრებას ეროვნულ კულტურის დროშის ქვეშ გაერთიანებულს. რა თქმა უნდა, ამ მდგომარეობას მოსკოვის ლაქები ვერ შეუტივდებოდნენ, და ამ რიგად დაიწყო კომუნისტური ლაშქრობა უნივერსიტეტის წინააღმდეგ, ჩვეულებრივი კომუნისტური ლაშქრობა, მთელი თავისი ატრიბუტებით, რომელიც არ ზოგავს არავითარ ბინძურ სავალელებს, ოღონდ კი

თავის მიზანს მიაღწიოს. ჯერ თავიანთ აგენტების სავალელებით მოინდომეს ინტრიგების გაჩაღება პროფესორებსა და სტუდენტობას შორის, მაგრამ რაკი ამ გზით ვერას გახდნენ, საჭიროდ დაინახეს საქმეში აშკარად ჩარეოდნენ.

1925 წელს თანამდებობიდან მოხსნილ იქნა არჩეული რექტორი. ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველ საზოგადოებას. ყველამ დაინახა, რომ ბოლშევიკები განადგურებით ემუქრებიან არა მარტო ერის პოლატიკურ და ფიზიკურ არსებობას, არამედ მის კულტურასაც. ყველასათვის ნათელი იყო, რომ მთავრობის ჩარევა უნივერსიტეტის საქმეებში მოასწავებდა ბოლშევიკურ დიქტატურის გაბატონებას მეცნიერებაში. მაგრამ განა შესაძლოა წიგნით შეებრძოლო რუსულ ხიშტს? ქართველმა ერმა ბრძოლის ეს უკანასკნელი ოპონიცია დათმო, დასთმო დროებით და გადაულოცა თავის მტერს. ამის შემდეგ უნივერსიტეტის საქმეები დღითი-დღე ფუჭდებოდა. 1926 წლიდან შემოღებულ იქნა ახალი სამოსწავლო გეგმა. განსაკუთრებით ღრმა ცვლილებები სოციალ-ეკონომიურმა ფაქტორებმა განიცადა, რომელიც მთავრობას «კონტრრევოლუციის» ბუდეთ მიაჩნდა. გაუქმებულ იქნა მთელი რიგი საგნების, ხოლო მათ ნაცვლად შემოიღეს ისტორიული მატერიალიზმი, საბჭოთა სამოქალაქო სამართალი, კოლპერაციის მოძღვრება, კომპარტიის ისტორია, საბჭოთა ბაზრის და კანიუკტურის თეორია, საბჭოთა ეკონომიური პოლიტიკა და სხვა მსგავსი «საბჭოთა» მეცნიერებანი. მოკლეთ, მოხდა უნივერსიტეტის სრული «გასაბჭოება».

ახალი საგნები ლექტორების ახალ კადრებს საჭიროებდნენ, ცენტრალური კომიტეტი პირდაპირ ირჩევდა ლექტორებს «სანდო ხალხიდან», საქართველოში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება ისეთი რენეგატები, რომლებიც ასეთ «საპატიო» თანამდებობაზე უარს არ იტყვიან.

ამავე წლიდან შეცვლილ იქნა უნივერსიტეტში მიღების წესებიც. ცოდნა უკვე გადამწყვეტ როლს არ ასრულებდა უნივერსიტეტში შესასვლელად, საკმარისი იყო მხოლოდ «კომსომოლობა», რომ უნივერსიტეტში მოხვედრის გარანტია ხელთ გქონოდა. ამრიგად მთავრობამ ხელოვნურად შექმნა ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზღვრების მისიურ «ფეოდალიზმს». მას შემდეგ რაც საქართველოს უნივერსიტეტი დაარსდა, დასავლეთ საქართველოს ახალგაზღვრებას თვალი მუდამ ტფილისისაკენ ეჭირა, იქ იყო მისი ზრახვები, იქ მოელოდა ის ქართულ მეცნიერებას ზიარებოდა და ქვეყნისათვის სასარგებლო შვილი გამხდარიყო. კომუნისტებმა მას ეს უკანასკნელი შესაძლებლობაც მოუსპეს. ის ვინც ასეთ პირობებს ვერ ეგუებოდა და ბრძოლას სხვა მეთოდებით განაგრძობდა, ციმბირის მსხვერპლი უნდა გამხდარიყო. ახალგაზღვრების მეორე ნაწილი თითქმის ასეთ პირობებს ურიგდებოდა და «კომსომოლობაზედაც» მზათ იყო, ოღონდ სწავ-



ლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცემოდა. მაგრამ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კარგათ იცის, რომ ასეთი გზით ის საიმედო ბაზას უნივერსიტეტში ვერ შექმნის და მოსალოდნელ ხიფათის თავიდან ასაცილებლათ უნივერსიტეტის კედლები ჩეკის აგენტურით გაავსო.

1929 წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებაც გაუქმდა. ის დაიშალა ცალკე ინსტიტუტებად, რომლებსაც დირექტორებად ახლად, საბჭოთა ყაიდაზე გამომცხვარი «პროფესორები» დაუნიშნეს. ეკონომიური დარგი გადაკეთებულ იქნა ფინანსიურ-ეკონომიურ ინსტიტუტათ სხვადასხვა «საბჭოთა განხრებით» (საკოლმეურნეო, სავეგმო, ფინანსიური და სხვა მისი მსგავსი), ხოლო დირექტორად მას დაუნიშნეს «პროფესორი» (sic!) ვილაკი. დოლიძე, პიროვნება სრულებით ბეცი და უფიცო, რომელსაც წერა-კითხვის მეტი არაფერი გაეგება; ამბობენ რომ მოსკოვში იყო, მარა მის გამოლაყებულ თავს მოსკოვი რას შესძენდა! არც სხვა ინსტიტუტებს აქვთ საქმე უკეთესად; კათედრასთან ახალგაზდების დატოვების უფლება პროფესორებმა ხომ დიდი ხანია დაჰკარგეს; ესლა ამ უფლებას სარგებლობს მხოლოდ და მხოლოდ «სტუდენტთა აღმასბიურა», იგივე ცენტრალურ კომიტეტის აგენტები, რომელნიც, რა თქმა უნდა, არ მოტყუდებიან «საპროფესორო ხალხის» შერჩევაში. ბოლშევიკურმა დიქტატურამ თავისი ჩვეული დაღი დასვა უნივერსიტეტის საქმიანობას, მეცნიერული დისციპლინა შეცვლილ იქნა პოლიტიკური დისციპლინით. გაჩაღდა ინტრიგანობა და ჯაშუშობა, რომელსაც ზოგი «სტაჟიანი» პროფესორიც არ ერიდებოდა. ასეთ მასწავლებლების შემყურე სტუდენტობის ზნეობაზე და სიმტკიცეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. როგორც ანდაზა ამბობს: «რაც მღვდელია, ის მრევლია». მაგრამ, თავის დროზე ყველა ბნელი საქმეები მზის სინათლეზე ამოსცურავს და ისტორია თავის მსჯავრს დასდებს უღირს შვილებს, რომელთაც საპასუხისმგებლო მომეტში ხელი აიღეს თავიანთ უზენაეს

მოვალეობაზე და საერთო საქმეს გვერდი უქციეს. ასეთია ჩვენი უნივერსიტეტის განვითარების გზები უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში. ოდესლაც ქართული უნივერსიტეტი—ესლა ბოლშევიკურ ალილოუის ტაძრად იქცა...

ყველა კარგათ მოეხსენება პრესის თავისუფლების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. ამ მხრივ ჩვენ არაფერი არ გავგავკირვებდა. მაგრამ ისტორიას უდიდესი კურიოზი სცოდნია. ბოლშევიკები, რომელნიც თავიანთ თავს თავისუფლების და სოციალისმისათვის მებრძოლ ხელისუფლებათ ასალებენ, იგზუიტურ ცენზურას და ზედამხედველობას ამყარებენ ჩვენს სამკითხველოებშიც.

მაგალითად, სრულებით აკრძალულია უნივერსიტეტის სამკითხველოდან ძველ ქართულ-საისტორიო შრომების გამოტანა. ასეთივე veto აქვს დადებული მრავალ უცხოეთის პერიოდულ გამოცემებს. მხოლოდ საგანგებო ნებართვით შეიძლება რომელიმე ნომრის გამოტანა.

ბედმა არ გაუღიმა საქართველოში საბჭოთა აკადემიის დაარსების იდეასაც. მან სკანდალურათ გაათავა თავისი არსებობა: მომავალ აკადემიკოსებმა ქიში ასტეხენ ერთმანეთში, და გაბრაზებულ ბოლშევიკებმა დამტკიცებული შემადგენლობა აკადემიისა ისევე გააუქმეს. ამისათვის ისინი დიდი მადლობის ღირსნი არიან,—აბა რის მაქნისი იყო ისეთი აკადემია, რომლის საისტორიო განყოფილებას ფ. მახარაძე მეთაურობდა. იშვიათად თუ ახსოვს საქართველოს კულტურულ გადაგვარებისა და დაცემის ისეთი ხანა, როგორც «საბჭოთა» საქართველოშია გაბატონებული, მაგრამ საბჭოთა საქართველო არ არის ნამდვილი საქართველო. ნამდვილი საქართველო, მებრძოლი საქართველო მოსკოვის ყმა ვერ დარჩება, ის ადრე თუ გვიან ააფრიალებს ეროვნულ თავისუფლების დროშას!..

გივი.

ტფილისი.

1930 წ. ნოემბერი.

ნ ა ზ ი ძ რ ი ხ მ ა მ ა ლ ლ ა

(დასასრული)

ეს არ ჭკონია, ხწონია, რაც სიტყვა გითხარ ღრია.

ემიგრაციიში მეტად გავრცელებულია ჭორიკანობა. თქვენ არ გგონოთ ჩვეულებრივ მითქმა-მოთქმა და ჩუბჩულზე იყოს ლაპარაკი, რაც ასე ჩვეულებრივია ყოველგვარ საზოგადოებისათვის სხვისა გასაკილავათ და თავის გულის მოსახებლად. მოგახსენებთ პოლიტიკურ ჭორიკანობაზე. მაგალითად:— რომელიმე პოლიტიკურმა ორგანომ გადასდვა რომელიმე დაწესებულების წინაშე რაიმე ნაბიჯი. შეიქნება ხოლმე ამის გარშემო ერთი ორონტრიალი, მიკითხვ-მოკითხვა:—გაიგე, გაიგე, რა უქნიათ? და გაიგებთ რაღაც საკვირველებას.

«სევილეო დალაქში» დღნ ბაზილიო ჭორის შესახებ მღერის:—ჭორია მთის წვეროდან მოწყვეტილი თოვლის გუნდი, გზაზე რომ უზარმაზარ გორად

გადაიქცევა და ბოლოს ვით ყუმბარა ეხეთქება. შინჯეთ:—გაუშვით ჭორი და ნიძლავს დავდებ. თუ იგი უკანვე საკვირვლად გადასხვაფერებული არ დაგიბრუნდეთ, შეიძლება შეგეშინდეს კიდევ.

ეს პოლიტიკური ჭორიკანობა ხდება არა მარტო პარტიათა შორის, არამედ თვით პარტიებშიც. მერე დასამალი მაინც ყოფილიყოს! გაივლის ერთი თვე, ორი თვე, ექვსი თვე, და შემდეგ დაიბეჭდება ეს დოკუმენტი. რა მიზნითაა ეს, რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ემიგრაციას არ აქვს პრესა, არ აქვს გაზეთი. ლხინზე ვინ რას იტყვის, მაგრამ გაუკვირება, მოხდა უბედურება, ვინმე უნდა გაასვენონ, კრებაა, ამას გაიგებ ძლიერ დავიანებით, «დამოუკიდებელი საქართველო» გამოდის თვეში ერთხელ, აბა ასეთ ვითარებაში ის რას გააწყობს?

არ არის ქართული პრესა,—ეს უდიდესი იარაღი სიტყვისა, ბრძოლისა, ზნეობისა, ერთმანეთის აზრის გაგებისა და ყველაფრისა.

ამიტომ ჩახობილია ქაობში პოლიტიკური აზროვნება, დადამბლებულია პოლიტიკური ზნეობა, დაჩლუნგებულია პოლიტიკური სიტყვა, მომკვდარია კრიტიკა, შექმნილი არის აზროვნებისადმი გულგრილობა და კმაყოფილდებიან თავიდანვე შექმნილ და ესლა უკვე მზამზარეულად გადაქცეულ შეხედულებებით. არავითარი ძიება, არავითარი გაქანება აზრისა, არავითარი მსჯელობა, არის აბლაბუდა და მასწავლებელი ყველაფერი. და დემაგოგია კი, წაქეზება-წასისინება, ბარბაშებს და თავასუფლად დაქეიფობს.

რისი ბრალია? განა იმისა, რომ ჩვენ მეტისმეტად კულტურული გახლავართ და არალარა გვეჭირდება? თუ ეს ჩვენა ჩამორჩენილობის შედეგია?

ბიჭო ვისი ხარ ძალხაზო.

პარიზის ქართველ ემიგრაციაში ბავშვები ბლომად არიან, მაგრამ არავის მამობრივი თუ დედობრივი ხმით არ მოუწოდებია:—

«ბიჭო ვისი ხარ, ძალხაზო, დაურჩი დედაშენსაო; საქმე რომ არა გქონდეს რა, ჩამორბენდი ჩვენსაო, გაგიშლი წინგსა პატარას, თან მოგიჯდები გვერდსაო, გასწავლი წერაკითხვასა, არაკებს გეტყვი ბერსაო»...

ამდენი ხნის განმავლობაში არავის თავი არ შეუწუხებია ამისათვის, არავის ყურადღება არ მიუქცევია ამ ბავშვებისათვის.

მესმის, კიდევ სურვილი არ ყოფილიყოს, მაგრამ დედმამანი ითხოვდენ:—ასწავლეთ ჩვენ შვილებს ქართულიო. ბავშვები დაიარებიან ფრანგულ სკოლაში, ლაპარაკობენ ჩიქორთულ ქართულს, არ იცნობენ და ვერ გაიცნობენ ქართულ ისტორიას, გეოგრაფიას, მწერლობას. ქართული კულტურის თვალსაზრისით განა სულ ერთი არის, ბავშვი გარუსდება თუ გაფრანგდება? ორივე შემთხვევაში იგი ქართული კულტურისათვის დაკარგულია. და განა ჩვენ ცოტა დავკარგეთ? ოღონდაც ბევრი, მაგრამ ვინ არის მომჭირნე, ვინ არის გულის შემატკივარი? ამ უკანასკნელ ხანამდე არავინ იყო.

ამ უკანასკნელ დროს ასეთი მზრუნავი გამოჩნდა. იგი გახლავთ ბ-ნი ილამაზ დადეშქელიანი. მან დაიკისრა ეს მძიმე მოვლუობა, რამდენჯერმე მოუყარა თავი მანდილოსნებს, მოხდა რამდენიმე კრება, წაილაპარაკეს, წამოილაპარაკეს, უჩხვლიტეს ერთმანეთს და დაიშალენ. ამგვარად ჩაიფუშა ეს საქმე. წარმომიდგენია ბ-ნი ილამაზის მდგომარეობა, რომელიც თავის ინიციატივით თავის თავთან დაჩა და აღარ იცის, საით მიმართოს გეზი.

იქნებ ეს მოვლენა დიდი კულტურის ნიშანი იყოს?

რა მესმობრების, მკურნალე, რა ლინდობისა დრონია

ქილილა და დამანაში მოთხრობილია ერთი ავადმყოფისა და მკურნალის შემდეგი ამბავი:—

ერთი კაცი, მუცლის ტკივილისაგან შეღონებუ-

ლი მკურნალთან მივიდა. ესრე მწარედ სტკიოდა, მიწაზე ჰგორავდა და ტკივილის მეტობითა მწარედ სტიროდა. წამალსასთხოვდა. როგორც წესია მკურნალმა გამოაკვიტა:

— დღეს რაი ქამადი გივემებიაო? — მან კაცმა უპასუხა:

— ერთი ნაკვეთი დამწვარი პური ვქამე და მას უკან მცირითა ხემსითა ბუნების თორნე გავახურვეო.

მკურნალმა მას თვალის წამალი მისცა. ავადმყოფმა უთხრა:

— მკურნალო, ლიზლობა დაუტევე, თვალის წამალი მუცელს რას არგებსო!

მკურნალმა უთხრა:

— მე ესე მწადის, თვალთა ნათელი მოგემატოს, რათა შავი და თეთრი გაარჩიო, რომ კვლავ დამწვაში პური აღარ სქამოო.

შავისა და თეთრის გარჩევის შესახებ მსურდა ორიოდ სიტყვა მომესხენებია. საკითხი ეხება რუსეთს ანუ უფრო სწორად, რუსულ ენას, რომელიც ჩვენს ზოგიერთ ემიგრანტულ წრეში კვლავ მოქმედებაშია. სამწუხაროა ეს მოვლენა, და მასთან ბრძოლა საჭიროა, მაგრამ რა გზით? იმით, რომ რუსულ ენას გავლანძღავთ, გავთრევთ, ავიკლებთ, ჩავქოლავთ, უკადრისად მოვიხსენიებთ, უღირსად გამოვაცხადებთ, რუსის ხალხს კიდევ ვაგინებთ, ტურტლიანებს ვუწოდებთ და სხვა რამეზრამებით შევამკობთ? გინება რა საკადრისია! რა ჯენტლმენობაა! თვითონ ჩვენ გვამცირებს.

მართალი არის:—ეს ჩვეულება რუსული ენის ხმარებისა არის შედეგობრივი გამოძახილი იმ გამართლებელი პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის მთავრობა ასე ჯიუტადად საქართველოში ეწეოდა. ეს ჩვენი მუცლის ტკივილია. განკურნება კიდევ შესაძლებელია, თუ მივცემთ თვალის წამალს, ეს თვალის წამალი კი გონებისა და შეგნების წამალია. თორემ რუსის ხალხის გინება საქმეს ვერ უშველის და ჩვენვე დაგვამცირებს. ასე ფიქრობდა ჩვენი კალონიის თავმჯდომარე ბ-ნი სხირტლადე და მასთან ერთად დიდი უმრავლესობა. ერთმა ქალბატონმა, რომელიც ამ საკითხზე გაცხარებით მსჯელობდა, სამართლიანად დაასკვნა და მეც მივემხარე:—ჩვენი ბრალია, რუსულ ენას რომ ვხმარობთ, რუსეთი ესლა რა შუაშია, ჩვენ თვითონ უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე ჩვეულებასო. სრული სიმართლეა და აქეთ უნდა იყოს მიმართული მათი ნება, ვისაც ეს შეუგნია, და ვისაც არა, მას თვალის წამალიც ვერას უშველის, ხოლო აკაკის კი გავიხსენებთ:

— გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია, მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია...

რა ვაკეთეთ, რას ვმვრემოდით?

— ჩვენ ერთმანეთს გულმოდგინეთ ვწეწდით და ვიწეწებოდით. ემიგრაციის «საქმიანობის» შესახებ გადაჭარბებული არაფერი მითქვამს. ვთქვი მხოლოდ, რომ მას



არაფერი გაუკეთებიათქო. მოვიგონოთ ზოგიერთი «საქმიანობა».

იმედაკარგულმა ახალგაზდობამ,—რა იმედით? —იკითხავთ—, ის იმედი, რომ ახალგაზდობა მოელოდა: უფროსნი, გამოცდილნი და ცხოვრების ქურაში გამობრძმედილნი, ემიგრაციაში სულიერ ცხოვრებას მოაწყობდნენ,—მაგრამ აღმოჩნდა, ამაზე თავს არავინ იტყვივებდა. და ისევ ახალგაზდობის ერთმა ჯგუფმა მიჰყა ხელი ამ საქმეს. დაარსებულ იქნა შ.ოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური ალიანსი. დაიწერა წესდები უდიდესი, ურთულესი და უმჯობესი; დაისახა მიზნები უფართოესი, სანუკვარი და სასახელო. გაიმართა რამდენიმე კრება, წაკითხულ იქნა რამდენიმე საინტერესო მოხსენება... და ეს აკადემიური ალიანსი... მოკვდა.

ამავე ჯგუფმა გამოიჩინა თაოსნობა სახალხო უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. დაიწერა წესდები (რასაკვირვებელია: ურთულესი და უმძიმესი), მოხდა რამდენიმე საინიციატივო კრება; ყველას ესიამოვნა, ყველას გაეხარა, ყველამ გამოსთქვა დახმარების სურვილი. დატრიალდა ბ-ნი სხირტლაძე, მოწვეულ იქნა კოლონიის საზოგადო კრება, სადაც ასოც კაცზე მეტი ჩაეწერა სახალხო უნივერსიტეტის დამფუძნებელ წევრად, არჩეულ იქნა კომისია—და—ეს სახალხო უნივერსიტეტის საქმეც... მოკვდა.

მერმე: კიდევ ერთმა ჯგუფმა (უფროსებისაგან) ითავა ამგვარი საქმე. დაიწყეს ლექციების გამართვა, კითხულობდნენ მოხსენებებს, მგონი ყოველ პარასკევობით, წაიკითხეს რამდენჯერმე და ეს საქმეც... მოკვდა.

მერმე. დახატეს გეგმა ბიანკურში, დაასურათეს მომავალი, წარმტაცი და მშვენიერი, გაჩაბნეს საქმე, დაიწყეს იქაც სისტემატიური ლექციების კითხვა და აღარ ვიცი, რა დაემართა ამ საქმეს, აღარაფერი ისმის, მგონი სისტემატიური აღარაფერი უნდა იყოს.

მერმე, მერმე კიდევ კოოპერატივი. აბა როგორი დიდებული და მოსაწონი საქმეა! ბიანკურელები იკრიბებოდნენ, ლაპარაკობდნენ, მსჯელობდნენ, გეგმებს აწყობდნენ... და მოკვდა კოოპერატივის აზრიც დაბადებასთან ერთად!

ნათუ ყველაფერი იმის ბრალია, რომ «ჩვენ ერთმანეთს გულმოდგინე ვწეწდით და ვიწეწებოდით»? ო! ამასაც მიუძღვის თავისი პატარა წილი, მაგრამ მთავარია ის, რაც უკვე მოგახსენეთ—ის რაღაც გამოუცნობი, რაღაც უცნაური, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწევს ემიგრაციას და ხელის განძრევას რომ თავი დავანებოთ, თავის განძრევასაც უშლის.

თუ რა არის ეს, დეე, თვითეულმა იფიქროს ამაზე.

ბ. ვარდანი.

მ ო ს კ ო ვ ი ვ ი ნ ე მ ე დ ა მ ხ ლ ა

I.

«ამ ქაშათ ჩვენი სამშობლოს ბედი წარმოადგენს ისეთ სურათს, სწერს პ. სტრუვე, სადაც ერთის მხრით მცირე ჯგუფი კომუნისტებისა იჩენს უდიდეს გამოგებულ ნებისყოფას ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ხოლო მეორეს მხრით ხალხი, რომელიც კომუნისტების უღელქვეშ გმინავს, შეუპყრია უკიდურეს სიძაბუნეს. უმოქმედებას და არავითარ ნებისყოფას არ იჩენს ტირანთა წინამდევ ბრძოლაში. ამიტომ ჩვენი განმათავისუფლებელი მუშაობისა და ბრძოლის მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს: ა) გავსტეხოთ ხალხის დიდი უმეტესობის პასივობა, მოვიყვანოთ იგი მოძრაობაში და ბ) ფსიქოლოგიურათ და ფიზიკურათ დავამარცხოთ კომუნისტების ბატონობის ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს პატარა უმცირესობის ბატონობას ერის დიდ უმეტესობაზე» (გაზ. «როს. ი ს ლავ.» 15 მარტი 1930 წ.).

ამას ამბობს რუსული მემარჯვენი საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელი პ. სტრუვე. იგივე აზრი, მხოლოდ სხვა ფორმაში, წარმოსთქვა რუსული მემარცხენი საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელმა სოც. დემ. ფ. დანმა 15 მარტს პარიზში გაკეთებულ მოხსენებაზე. «რუსეთში ამ ქაშათ, სთქვა მან, არის ყველა ნიშნები ახალი რევოლუციისა, ყველა ნიშნები, გარდა ერთისა, არ არის ხალხის მოძრაობა. პირიქით რევოლუცია სწარმოებებს თვით ხელისუფლების მიერ წინამდევ ხალხის სურვილისა. ეს არის რევოლუცია უკუღმა» (ეურ. «დნი» № 81).

ამ გვართ ორივენი აღნიშნავენ, რომ საზოგადო სამოქმედო ასპარეზზე არ სჩანს თვით ხალხი. ეს სურათი მართლ საბჭოური რუსეთის გამოხატულება არ არის. თუ ასე ფიქრობენ პატივცემული სტრუვე და დანი, ძლიერ ცდებიან. რუსეთის ისტორიას ხალხის უმოქმედობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობა და მთავრობის ყოველად შეუძლებლობა, მუდამ ახასიათებდა.

მთავრობასა და ხალხს შორის საუკუნოებით არსებულ ამ ურთიერთობას ჯერ კიდევ ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ პროფ. ბ. ჩიჩერინმა (სახალხო კომისარის მამამ) თავის შრომაში «რუსეთი მე-20 საუკ. მიჯნაზე» ასე დაახასიათა: «რუსეთის ისტორიის განსაკუთრებულ ნიშნობლივ თვისებას, შედარებით ევროპის დანარჩენი ერების ისტორიასთან, სწერს იგი, შეადგენს ის, რომ ხელისუფლება იყო და არის ყველაფრის სათავე. დღიდან ვარიაგების მოწვევისა, საზოგადოებრივი ინიციატივა ძლიერ მცირე როლს თამაშობდა. რუს კაცს ყოველთვის უფრო ეხერხებოდა მორჩილება, თავისი თავის მსხვერპლათ მიტანა, თავისი ბეჭით მძიმე ვალდებულებათა ზიდვა, ვინემ საქმეში ინიციატივის გამოჩენა და ბრძოლა. მთავრობა აფართოვებდა, ქმნიდა და ამტკიცებდა რუსეთის უზარმაზარ იმპერიას; იგი ძალით ავრცელებდა განათლებას; უღვა განვითარებდა სათავეში და ხელმძღვანელობდა, როგორც საზოგადო, ისე კერძო ცხოვრებას. ყველაზე უფრო მკვეთრათ, ჩვენი ისტორიის ეს თვისება, რუსეთის უდიდეს კაცში

პეტრე დიდში გამოიხატა. ჩვენი ისტორიის ეს კანონი ეხლაც ძალაში რჩება. ინიციატივა და შესრულება ყველა იმ დიდი რეფორმებისა, რომლებიც ჩვენი საუკუნის სიამაყეს შეიცავენ, დღესაც მთავრობას ეკუთვნის».

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოსთქვა ბ. ნოლდემ 1927 წ. ფრანგულ ჟურნალში «Monde Slave»-ში. ასე რომ, ის სენი, რომლითაც ამ ქამათ საბჭოთა რუსეთია შეპყრობილი, რუსეთის ისტორიისთვის ახალ მოვლენას არ წარმოადგენს.

რატომ იყო და არის ასე?

ცნობილი ისტორიკოსი პროფ. ვ. კლიუჩევსკი ამ მოვლენას ასე ხსნის: «ველიკოროსთა ტომი, რომელმაც შექმნა მოსკოვის სახელმწიფო, წარმოადგენს არა მარტო ერთგვარ ეტნოგრაფიულ სახეს, არამედ თავისებურ ეკონომიურ წყობასაც და აგრეთვე განსაკუთრებულ ნაციონალურ ხასიათსაც, რომელთა გამომუშავებაზე დიდი გავლენა ქონდა ქვეყნის ბუნებას» (კლიუჩევსკი «რუს. ისტორ.» ტ. 1. გვ. 382).

რას შეიცავს ველიკოროსიის ეს განსაკუთრებული ხასიათი?

ამაზე იგივე კლიუჩევსკი ასეთ პასუხს იძლევა: «ველიკოროსი სახელმწიფოს უყურებდა არა როგორც თავის სახლს, სადაც ის არის ბატონ-პატრონი, არამედ როგორც მდგმური, რომელიც სტოვებს ბინას მაშინვე, როგორც კი მას არ მოსწონს ან ბინა, ან მასში არსებული წესრიგი. მოსკოვის სამეფოს ქვეშემდროშა ბოლომდის ვერ შეითვისა ის აზრი, რომ სახელმწიფო მისია და შეიძლება აჯანყება და ბინის უკეთესად მოწყობა და სახლში უკეთესი წესწყობილების შემოღება. ამის მაგიერ იგი უმეტეს შემთხვევაში პროტესტით სტოვებდა მას და იწყებდა მარტო მარტო ხეტიალს და ახალი თავშესაფარის ძებნას» (იქვე ტ. III. გვ. 63).

რუსეთის ერის დიდმა უმეტესობამ ეს თავისი თვისებანი რევოლუციის ხანაშიც გადაიტანა. ვიტყვით კიდევ მეტს: მოსკოვური სახელმწიფოს სახე და ამ სახელმწიფოს მიერ საუკუნოებით გამოშუშებული რუსის ხალხის თვისებანი, ბოლშევიკების ხანაში უფრო ცხველათ გამოჩნდა, ვინემ იმპერატორების დროს, რომლებსაც ხალხის ფართო მასა დაბმული ყავდათ, ხოლო მოსკოვურ სახეზე ევროპის ფერ-უმარული ქონდათ წაცხებული. რევოლუციამ ხალხი აუშვა, სახელმწიფოს ევროპის ფერ-უმარული ჩამორეცხა და ჩვენ წინაშე ნამდვილი მოსკოვური სახე გადაიშალა.

ამიტომ ვფიქრობ, რომ რუსეთის რევოლუციის ახსნა-განმარტებანი უნდა ვეძიოთ რუსეთის ისტორიაში და არა ევროპის მაგალითებში. საფრანგეთის დიდი რევოლუციის ანალოგიური მაგალითების მონახვით რუსეთის რევოლუციას ვერ გავიგებთ. ასეთ შრომას რუსეთის რევოლუციონერები თავიდანვე ეწეოდნენ, მაგრამ რუსეთის რევოლუცია არ მოხდა და არ განვითარდა ისე, როგორც მათ წარმოდგენილი ქონდათ. ასეთ შრომას დღესაც ბევრი ეწევა. ჟურნალ-გაზეთებში ხშირათ შეხვდებით წერილებს, სადაც რუსეთის რევოლუციას საფრანგეთის რევოლუციას ადარებენ, ბოლშევიკებს—იაკობინელებს, ჩეკას—ინკვიზიციას, ლენინის მოძღვრებას—ბლანკისტებისა და სხვას.

ესერების ბელადი ვ. ჩერნოვი თავის შრომაში «კონსტრუქტივინი სოციალიზმი» ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბოლშევიკების წინაპრები დასავლეთ ევროპაში იმყოფებოდნენ და მათი გენეოლოგია იქიდან მომდინარეობს.

რუსეთის მენშევიკების ბელადი განსვენებული მარტოვი წიგნში «მსოფლიო ბოლშევიზმი», ბოლშევიზმის განვითარების მთავარ მიზეზათ მსოფლიო ომს ასახელებს.

მარქსისტი პ. პოტრესოვი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური ორგანო «მუშათა გაზეთი» რუსეთის ამბებს რუსული საზომით უდგება და სტალინის ექსპერიმენტებს რუსეთის გლეხების ჩამორჩენილობით ხსნის.

ა. კერენსკი რუსეთის რევოლიუციის მთელ ტრაგედიას იმით ხსნის, რომ გენ. ლიუდენდორფმა ლენინი და მისი ამხანაგები დალუქული ვაგონებით გადმოგზავნა რუსეთში.

ერთი სიტყვით, რუსეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა რუსეთის ხალხი და მისი ისტორია დაივიწყეს და რუსეთის დღევანდელ მოვლენათა ახსნა-განმარტებებს ევროპაში ეძებენ. ამაზე იტყვიან: კაცმა მამის სული დაივიწყა და მამინაცვლისას იფიცებდაო. ანალოგიას მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა შესაძარბელ მოვლენათა შორის საერთო მსგავსება მეტია, ვინემ განსხვავება. ევროპისა და რუსეთის ისტორიას შორის განსხვავება მეტია, ვინემ მსგავსება. ამიტომ უმჯობესია საბჭოთა კავშირის დღევანდელ მოვლენათა ასახსნელათ, რუსეთის ისტორიას მივმართოთ.



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ფ რ ა ე ბ ი თ

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

II.

ჩვენი ქვეყნის სასოფლო მეურნეობის უმთავრეს დარგების ციფრებით დახასიათების შემდეგ, შევეცადოთ მოვიყვანოთ ასეთივე დახასიათება ქართველი ერის ეკონომიკის სხვა მხარეებისაც.

არა გვგონია, რომ აქ სიტყვა გაგვიგრძელდეს: ეს დანაშთენები ან ცოტა იყო ჩვენს სინამდვილეში, ან რაც იყო, მხოლოდ ახლად, და ისიც, დიდის დაგვიანებით იწყებდა ზრდას და განვითარებას.

სამთო-მადნო წარმოება, აქა-იქ ქალაქ ადგილებში თავმოყრილი ინდუსტრია, შინა მრეწველობა, ვაჭრობა—აი რაზედ იყო საჭირო ვრცლად გველაპარაკანა. თვით დადებითი მუშაობა ამ სფეროში, მეტწილად, ისე მცირე და ჩამორჩენილი იყო, რომ ბუნებრივია თუ მათ განხილვას ვრცლად ვერ ვახერხებთ, მეტადრე დღევანდელს პირობებში, როდესაც მოკლებულნი ვართ უმთავრეს და საჭირო მასალას.

დავიწყეთ ვაჭრობიდან, რადგან თუ იყო რამ დაგროვება ჩვენებურ ქალაქის ბურჟუაზულ წრეებში, ეს სწორედ ვაჭრული კაპიტალის დაგროვება იყო.

ვაჭარ-სოფდაგრობის ხელობას ჩვენში გრძელი ისტორია უნდა ქონდეს. თვით საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა ბუნებრივად იწვევდა ამ კლასის ძველადვე გაჩენას. ისტორიული წყაროები გვაწოდებენ ცოტა რამ ცნობებს ამის შესახებ. ტფილისში ამას წინეთ იყო ზოგი რამ გამოქვეყნებული, საიდანაც საინტერესო ცნობებს ვგებულობთ წარსულ საუკუნეების ქართველ ვაჭართა საქმიანობაზედ, მათ შორის ქვეყნებში მოგზაურობაზედ, იმ საქონლის ჩამოთვლით, რომელსაც ისინი უცხო ქვეყნებში ასაღებდენ.

დადგა დრო და მკვიდრ ქართველ ვაჭრების გუნდს მიემატა არა ქართველი ვაჭრებიც, რომელნიც საქართველოში იყვნენ დაბინავებულნი. ესენი, უმთავრესად, იმ სომხის ლტოლვილთ ეკუთვნოდენ, რომელნიც თავის ქვეყანაში ველარ იტანდენ ათასგვარ ჭირსა და ვარამს და აწიოკებდნენ ოსმალეთის მთავრობის მხრივ, ათიათასობით სტოვებდენ სამშობლოს და სულეების გადასარჩენად, სხვათა შორის, საქართველოსაც ეკედლებოდენ.

სომხის ერზედ ძალიან შემცდარი აზრია გავრცელებული. თითქოს იგი უადრესად ვაჭრული ერი იყოს და ვაჭრული ნიჭიც მის რაღაც თანდაყოლილ თვისებას შეადგენს. სომხის ერი ისეთივე სასოფლო მეურნეობის მიმდევრე ერია, როგორც მაგ., ჩვენი. ის აკლება და წვალება, რომლის საშინელი მსხვერპლი გახდა მე-11 საუკუნეში ძველთა ძველი სომეხთა სახელმწიფო სულ პირველად სოფლის მეურნეთ ადგებოდა ხოლმე; სულ პირველად ეს მოსახლეობა იყო დევნილ-აწიოკებული და სწორედ იგი ხდებოდა იძულებული დაეტოვებია თავისი სამშობლო და უცხო ქვეყნებს შეფარებოდა.

რაც გრძელ ისტორიულ პერიოდებში სომხის ერის თავზედ უბედურება დატრიალებულა, ჩვენმა თაობამ ყველა ეს საკუთარის თვლით ნახა უკანასკნელი დიდი ომის დროს, როდესაც ათასობით აწიოკებული სომხობა შემოვიდა საქართველოს ფარგლებში და აქ ნახა მყუდროება და მფარველობა. ეს ლტოლვილი სულ სოფლის მცხოვრებნი იყვნენ; იქ სოფდაგარი და მელიქი, გინდ მრეწველი და დიდი თავადი არვინ ყოფილა. ერთის სიტყვით, მათი შემადგენლობა სწორედ ისეთი იყო, როგორც ეს ძველად, ჩვენი მეფეების დროსაც უნდა ყოფილიყო.

რომ საქმე ასე უნდა მომხდარიყო, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. როდესაც სომეხ-ლტოლვილთა საქართველოში შემოხიზვნის ამბავს ეცნობით (ჩვენ აქ სახეში ჩვენს ეპოქასთან უახლოვესი საუკუნეები გვაქვს), ერთი რამ გეცემათ თვალი.

უეჭველი უნდა იყოს, რომ ლტოლვილთა მთავარი ნაკადი ქ. ტფილისს ეტანებოდა. ეტყობა ეს გზა ადმინისტრაციული ზომების მისაღებად იყო მათთვის მიჩნეული. თვით ტფილისში მათი დასახლება ერთ განსაკუთრებულს, განაპირა უბანში ხდებოდა, თურმე; ამ უბანს კედელიც კი ქონდა შემოვლებული, რომლის გარედ ლტოლვილთ ეკრძალებოდათ დასახლება. ეჭვს ვერ ვაძეგნებ, რომ ეს ზომაც ადმინისტრაციული და სანიტარული მოსაზრებით იყო მიღებული: საქართველოს ისტორიამ არ იცის რაიმე «გეტოსებური» სამარცხვინო ხერხების შემოღება უცხო ტომების დასახარავად და უცხო სარწმუნოების დასამცირებლად. ან რა დამცირებაზედ შეიძლება ლაპარაკი, როდესაც მაშინდელი ქართველი მთავრობის განკარგულებით ქართველთა საყდარიც კი გადაიკეთა სომხებს, რომ მათ საკუთარი წირვა-ლოცვის მოსმენა შესძლებოდათ.

რომ სომხის ერის დამცირებას ალაგი არ უნდა ქონოდა (ცალკე უბნის მიჩენით) ეს იქიდანაც სჩანს, რომ მაგალითად, ერეკლე მე-II ხანგრძლივ მეფობის დროს, «ქალაქის» მოურავ მელიქათ სომხებიც ყოფილან გამწესებულნი და, შესაძლებელია, ამის მიზეზიც სწორედ ის იყო, რომ მათ, როგორც სომხური ენის მცოდნეთ უკეთ მოეხდინათ მოვლა-პატრონობა ლტოლვილების. რომელთა შორის უკიდურესი სიღარიბე სუფევდა ყოველთვის. ათასგვარი ვაჭირვება, დასწეულება და გადამდები სენით დაავადება. მათი უბნის ირგვლივ კედლის გავლება უბრალო სანიტარული ზომა უნდა ყოფილიყო, რათა გადამდები სენი არ მოსდებოდა დედა-ქალაქს და იქიდან მთელ სამეფოს.

ასეთ უმწეო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სომხის ლტოლვილნი; მათი მამაშვილურად მიღება, ცხოვრების საღსრის აღმოჩენა—აი რა იქნებოდა მაშინდელი საქართველოს მთავრობის საზრუნავი.

შემდეგში უმთავრესად, ამ ლტოლვილთა წრი-



დან გამოვიდა და ჩამოყალიბდა ის ტიპიური სომეხ-ვაჭარი, რომელიც ასე ცოცხლად დაგვიხატეს თავის კომედიებში, საქართველოს მოლიერმა გიორგი ერისთავმა, ანტონოვმა, ასიკო ცაგარელმა და, თუ გნებავთ, ალალო თუთაევამც და სხვებმა.

იყო ერთი პირობა, რომელიც უარესად უწყობდა ხელს სომეხ ლტოლვილთა წრიდან ვაჭრების გამოსვლას. ცხადია ლტოლვილი საქართველოში მოკლებულნი იყვნენ მსოფლიო სამეურნეო საკუთრებას; მათ არ ქონდათ საშუალება ახალს სამშობლოშიც განეგრძოთ ძველი მათი ხელობა, რაც სოფლის მეურნეობის წარმოებაში გამოიხატებოდა. მათ სხვა გასაქანი არ ქონდათ, რომ სარჩენათ წვრილ მეწვრიშალები სათვისაც მოეკიდნათ ხელი. ფეხზე მოვაჭრე მეწვრიშაზე შემდეგში დუქანში ვაჭრობასაც იწყობს; თანდათან ეჩვევა იგი ყველა ვაჭრულ წესს და ადათებს და ამნაირად ადგენს ცალკე ჯგუფს, რომელიც როგორც ზემოთაც ვსთქვით. ემატება უკვე არსებულ ქართველ ვაჭრებს და მათთან ერთათ ქმნის განსაკუთრებულ კლასს. ტფილისიდან ხდება ამ წვრილ ვაჭრების გადაჯგუფება პროვინციების მიმართულებით. სადაც სომეხ ვაჭრების ცალკე ბუიები ჩნდება. უმეტეს წილად ისინი ქართლ-კახეთს ედებიან, უფრო მცირე ნაწილი ჩნდება დასავლეთ საქართველოშიც (ალბად ახალქალაქ-ახალციხის მიმართულებით), მაგრამ აქ ისინი ვერ ახერხებენ მაგრად ფეხის მოკიდებას. აქ მათ ძველადვე დახვდათ მეტოქენი, მკვიდრ მოსახლეობიდან გამოსულნი, ისინიც წვრილ-ვაჭართა სახით (მათ შორის ქართველი ებრაელებიც); დასავლეთ საქართველოში ყოფილა ამისთვის მომწიფებული პირობები და მათ შორის შეიძლება ისიც, რომ იქ უფრო ადრე დაიწყეთ უმამულა მოსახლეობის გაჩენა.

კონკურენცია, რომელიც ბუნებრივად გაჩაღდა ცალკე მოვაჭრეთა ჯგუფების შორის დიდ კრიზისს აჩენდა მათ წრეში. მე-19 საუკუნის განმავლობაში სომხის ვაჭრები თუმცა საკმაოდ მოლონიერდნენ, მიუხედავად ამისა იძულებულნი გახდნენ სულ პირველად დაეცალათ მეორე ხარისხოვანი ქალაქ-დაბები და უფრო დიდს ცენტრში მოეყარათ თავი. მალე ქართველი ვაჭარი ამ უკანასკნელ პუნქტშიც იჩენს თავს. ქართველ ვაჭრების ახალი ჯგუფების გამოჩენა და მოხსენებულ მეტოქეობით გამოწვეული მათი მობილიზაცია მთელ მეცხრამეტე საუკუნეში ხდება.

სწორედ ამ ხანაში მოასწრო სომხის ვაჭარმა საკმაოდ დიდი დანალათის დაგროვება. ამას ბრძოლვების მოსპობამაც შეუწყობა ხელი, რადესაც ფეოდალურ ნაშთების ოჯახები გაფაციცებით დაეძებდნენ მათთვის საჭირო ფულს. ამ ხანაში ვაჭარი უკვე მევახშეთ იქცევა და ყველაზე დიდი სარჩო ამ დროს შეიძინა მან (სიტყვა «მევახშეობას» ვხმარობთ მისი ეკონომიურის შინაარსით; მევახშეობა არ შეადგენს ერთ რომელიმე ცალკე ერის ღირსება-ნაკლუფანებას).

ამ დროს დაიწყო ქართველ დიდი გვარების ქალაქის მამულების და ზოგან სოფლის მამულისაც ლიკვიდაცია; ეს პროცესიც მთელ მე-19 საუკუნეს გრძელდება...

მალე ადგილობრივი პირობები აღარ აძლევენ ვაჭარს საშუალებას ერთბაშად გამდიდრდეს: დიდ მემამულეთა ლიკვიდაცია უკვე გათავდა, ამასთანავე ადგილობრივი მევახშეთ აქ დიდი კონკურენტი გამოუჩნდა—რუსეთის სამეფო გვარეულობის «უდელეები». ფეოდალების ნაშთები სწორეთ ამ დროების დასახასიათებლად ამბობდენ: «აქამდინ ნადელეები თ ვიბრუნებდით სულელებს, ესლაკი უდელეები თ!» ამ რიგად გამდიდრება მოასწრეს მხოლოდ ვაჭარ-მევახშეთა (იმ დროს ჯერ კრედიტი არ იყო მოწყობილი) რიგებმა. შემდეგში იგი ცდილობს გარეთ გავიდეს. იქ ნახოს რამე ხეირი. მაგრამ ამას მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს; ამ რიგებში სომხებთან ერთად, ქართველებიცაა. ვინც ვერ ახერხებს გარეთ გასვლას და საქართველოს ფარგლებში რჩება—მას დიდი გასაქანი აღარა აქვს. საქართველოს და სასოფლო მეურნეობას 70-იან წლების მიწურულებიდან დიდი კრიზისი მოადგა. ხალხის მოთხოვნილებამ იკლო. ჩვენის რწმენით, ეს კრიზისი დღესაც არაა გათავებული და რიცხვით მეტად გაზდილ ვაჭრებსაც აღარ დაურჩათ დიდი საქმიანობა. იწყება მათი დაკნინება. ბევრი წინა პერიოდებში, გამდიდრებული სომეხი ვაჭარი გალარიბების გზას დაადგა. ბევრის ქონება ახალ მოსულ სომხების ხელში გადადის. იმ სომხების, რომელთაც სხვაგან და სხვა პირობებში შეუძენიათ ფული. ქართველი, ასპარეზუნდ ახლად გამოსული ვაჭარი უფრო იტანს კრიზისს და მეტოქეობაც უფრო მისი გაძლიერებით მიდის. მეოცე საუკუნეში ჩვენ საინტერესო მოვლენის წინ ვიდექით: არა ქართველი ვაჭრის რიცხვის თანდათან შემცირება, რომელიც დაბოლოს ალბათ ქართველი ვაჭრის, როგორც მკვიდრ მოსახლეობიდან გამოსული კლასის, სრულის გამარჯვებით დაბოლოვდებოდა.

ასეებულმა მდგომარეობამ დაბადა ისეთი პირობები, რომ ჩვენში ბოლო დრომდე ვერ შეიქმნა თანამედროვე, ევროპიულად ჩამოყალიბებული კომერსანტის ტიპი. ჩვენებური მოვაჭრე-სოფდაგარი მეტ წილად განაგრძობდა ვაჭრობას ნახევრად დარაბებ-გამოხურულ დუქნებიდან, რომელსაც თუმცა «მალაზიას» უწოდებდა. მაგრამ პატრონი კვლავ დარჩა წვრილ ვაჭრათ, მოკლებული ფართე ინიციატივას.

გასაკვირველიც არაა, რომ ამ ყალიბის ვაჭარმა ვერ შექნა, ვერც აღმოსავლეთ და ვერც დასავლეთ საქართველოში, ევროპიული ტიპის კომერსანტი და ვერც გადავიდა კაპიტალისტურ წყობილების შემდეგს საფეხურზე: მან ვერ დაბადა სამრეწველო კაპიტალი.

ამ ჯურის სოცდაგარის დახასიათება ყველგან ერთი და იგივეა: იგი ახალ ღირებულებათ არა ქმნის; სულ იმის ცდაშია—სხვაგან და სხვებისაგან შექმნილი ღირებულებანი იაფად იყიდოს და რაც შეიძლება ძვირად გაყიდოს მომხმარებელზედ. რამდენადაც ეს ზედმეტი ფასი გაყიდულისა მეტია, იმდენადვე დიდია ის ვაჭრული კაპიტალი, რომელიც სოცდაგარის ხელში გროვდება.

ეკონომიურად ჯერ კიდევ ნაკლებად გავითარებული საზოგადოებაში ერთად ერთი ახალ ღირებუ-



ლებათა შექმნილი სოფლის მეურნეა, შემდეგში მას შინა მრეწველიც უერთდება. სოფლის მეურნეობაც ამ პერიოდში ერთობ მარტივია; იგი დასაწყისში მანედ მეტს ვერ ჰქმნის, რაც პირადად მისთვის და მის ოჯახისათვისაა სამყოფი. მხოლოდ ცხოვრების პირობების გართულების შემდეგს საფეხურზედ სცილდება იგი ნატურალურ მეურნეობას; თანდათან ხდება მისი მოთხოვნილებათა ზრდაც და იგი იძულებულია იმდენი შექმნას, რომ ბაზარსაც მიაწოდოს. ქალაქებში. ჯერ ეს ქალაქიც პრიმიტიულია, იგი ვერ ინელებს ფართოდ სოფლის ნაწარმოებს. მაგრამ უკვე იწყობს მათ მოთხოვნას. თანდათან უფრო თვალსაჩინოდ ხდება ქალაქის და სოფლის დიფერენციაცია. სოფელმა მოყვანა იცის, მაგრამ არ იცის ჯერ თვისი ნაწარმოების გაყიდვა და აი აქ მას დამხმარეთ, სწორედ მისი საკადრისი, პრიმიტიული ქალაქელი—ვაჭარი გამოდის.

იგი ვაჭარი, ერთსა და იმავე დროს. სოფდაგარიც არის, მეფახმეც და საეკულაციის მომხდენიც; თუ სინდისიერად მუშაობა გაუვა—სინდისიერია. თუ ამით ვერასა ხდება—ყველაფერს კადრულობს. ამნაირად თავის ქონებას ადიდებს, დიდს სიმდიდრეს იძენს, ე. ი. «ფულს აკეთებს». გუშინ კიდევ ყველასაგან აბუჩად აგდებული, დაცინვის ობიექტი და თითქმის პატივ აყრილი, დღეს დიდი ვინმე სოფდაგარ-კომერსანტი ხდება!

ეს შექმნილი სიმდიდრე მას თავის ქერქში აღარ აყენებს, იგი უკვე სხვა საშუალებებს ეძებს, რომ უფრო მეტად გამდიდრდეს, უფრო დიდი გავლენა მოიპოვოს.

მისი გარეგნული ადათ-ჩვეულებანიც იცვლება. იგი აღარ კადრულობს იაფფასიან მოტყუილებით სვლას. მასთან ერთად ის მრეველიც, სადაც მას ყველაფერი გაუდიოდა—ის წრეც შეიცვალა; მასხედ არა ნაკლებად იგიც გაეშმაკდა, გაცუღლუტდა ყოველ ღონეს ეძებს კონკურენცია გაუჩაღოს მას.

სოფდაგარი ეცემა ხან იქით, ხან აქეთ, ცდილობს კაპიტალისტურ ყოფის უფრო რთულ საფეხურზედ ავიდეს.

მაღე საეაჭრო კაპიტალთან ერთად ჩნდება ფინანსიური და სამრეწველო კაპიტალიც.

იქ სადაც ეს ევოლუცია თავის სისრულეს პოულობს, ჩადდება მექარხნეობა, სააქციონერო საზოგადოებანი და ტრესტები, ჩნდება სხვადასხვა ჯურის და ტიპის ბანკები და სხვ...

—ლი—ბ.

1930 წ.

მსოფლიო პრესამ და საზოგადო აზრმა წყველ-კრულვით გაისტუმრა 1930 წ. და თითქო საბუთიც ჰქონდა ამისათვის. ომის შემდეგ—ერთხმად გაიძახიან—ასეთი კვიმატი წელიწადი არ გამოგვრევიან.

მაგრამ ჩვენ ერთი რადიკალური კორექტივი უნდა შევიტანოთ ამ საერთო დეფინიციას. თუ 1930 წ. მეორე ნახევარი მართლა კვიმატად ეჩვენებოდა ყველას, პირველ ნახევარს სულაც არ უჩანდა ასეთი ცუდი პირი. გაიხსენეთ მარტო რენანის ევაკუაცია,

რომ დარწმუნდეთ ამაში. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ლონდონის საზღვაო კონფერენცია, რომელზედაც, მართალია, საფრანგეთი და იტალია ვერ შეთანხმდნენ. მაგრამ სამი უძლიერესი საზღვაო სახელმწიფო—დიდი ბრიტანეთი, შეერთებული შტატები და იაპონია—საზღვარს უდებენ შეიარაღებას, ურთიერთ მეტოქეობას და მით ხანგრძლივ უზრუნველყოფენ მშვიდობიანობას დიდ და ატლანტის ოკეანეებზე. ამავე რიგის მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ჩინოვალოს ნანკინის გამარჯვება გენერლების და კომუნისტების თარეშზე ცისქვეშა რესპუბლიკაში, რაიცა მოასწავებს, ყოველ იქვეს გარეშე; 500 მილიონ ხალხის აღმშენებლობით ფერხულში ჩაბმას და შორეულ აზიის ადრე თუ გვიან მსოფლიოს ცენტრში მოქცევას. ესლა თუ ჩინეთიდან შუა აზიისკენ გააყოლებთ თვალს, წარმოგიდგებათ ინდოეთი თავის 300 მილიონ ხალხით, რომელიც ედავება ინგლისს არა დომინიონის უფლებებზე—ამას უკვე უთმობენ—, არამედ სრულ დამოუკიდებლობამდე.

1930 წლის მეორე ნახევარში სურათი საგრძნობლათ შეიცვალა. ეკონომიური და ფინანსიური კრიზისის საყოველთაო ხასიათს იღებს მთელს მსოფლიოში. ჯერ დაიწყო შეერთებულ შტატებში და შემდეგ გავრცელდა აზიაზე და ვანსაკუთრებით ევროპაზე. ნაწარმოები ბაზარს ვერ პოულობს, აწყვიტა ყველგან საქონლის ზვინები, იკეტება ფაბრიკა-ქარხნები, სკდება ბანკები, მკვინვარებს უმუშევრობა. შეუთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვი აღწევს 5 მილიონს. ინგლისში—2 ნახ. მილიონს, გერმანიაში—4 ნახ. მილიონს. იტალიაში—800 ათას და საფრანგეთსაცკი უწია. ეკონომიურ კრიზისს უნდა მოყოლოდა პოლიტიკური კრიზისიც, სამხრეთ ამერიკის თითქმის ყველა სახელმწიფოებში რევოლუციური გადატრიალება მოხდა, მაგრამ ჩვენთვის უფრო საყურადღებოა ევროპისკენ ვიბრუნდნენ პირი.

ყოვალდების ცენტრში იღვა სექტემბრის არჩევნები გერმანიაში, რომელმაც თითქო ყირამალა გადაატრიალა შტრეზმანი-ბრიანის ლოკარნოს პოლიტიკა და გამარჯვებული პიტლურნიანები კოპენცოლერნების ტრადიციას დაუბრუნდნენ. ძირს იონგის გეგმა, ვერსალის ხელშეკრულება, სოციალ-დემოკრატია!—აი მათი ლოზუნგი. ამ მოვლენაშიც, რა თქმა უნდა. ეკონომიურმა კრიზისმა გადამჭრელი როლი ითამაშა. უმუშევარნი გაჭივრებამ პიტლურის ბანაკში მირეკა, და ეს მით უფრო ადვილათ, რომ მისი პლათფორმა სოციალისტებისგან ნასესხ მოთხოვნილებებს შეიცავდა და თვით პარტიამ «ნაციონალ-სოციალისტური» დაირქვა სახელად. მშვიდ-მშვიდელთა თვალის ასახვევათ. დაიწყო განგანი პოლიტიკის წინამდევ, რომლის ნაგებობის არჩევნებმა ბევრი მასალა მისცა გერმანელ შოვინისტებს გაეჩაღებიათ სისტემატიური აგიტაცია აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვის და ეროვნულ უმცირესობათა სასარგებლოთ.

პიტლურნიანების გამარჯვებამ თავისი გავლენა იქონია—საფრანგეთის დამოკიდებულებებზე. დავიწყებულ იქნა ამ ორ ქვეყნის დაახლოებაზე ლაპარაკი, პირიქით მემარჯვენენი, რეინის გაღმა-გამოღმა, სა-

რევანშო ომზე იწყებენ სჯა-ბაასს! საქმე კიდევ იმით რთულდებოდა, რომ ბერლინი მოსკოვისა და რომის სკენ იყურებოდა და კითხვას ამ სამი ცენტრის კოალიციასზე თითქო პრაქტიკულ ხასიათს იღებდა. ამას მოჰყვა საბერძნეთის და ოსმალეთის საბოლოო მორიგება, რომის გავლენით, უნგრეთის და ბულგარიის იმავე რომის გავლენის ქვეშ მოყოლა. ნათლათ გამოუსწვივოდა, ამ რიგათ, ევროპის ორ ბანაკად დარაზნება: გერმანია, საბჭოები, იტალია, ოსმალეთი, საბერძნეთი, უნგრეთი და ბულგარია, ერთის მხრით, და საფრანგეთი, პოლონეთი, რუმინია და ჩეხოსლოვაკია მეორეს მხრით. რას შერგებოდა ამ დროს ინგლისი? ის სცილდებოდა ევროპას და ოკეანებისკენ მიმართავდა თავის გეზს, გართული იყო საიმპერიო ინდოეთის კითხვებით, უმუშევრობის პროგრესიული ზრდაც გასაქანს არ აძლევდა მას. ერთი სიტყვით, ტრავისტების მართვლობა ან სულ არ ერეოდა ევროპის საქმეებში, ან თუ ერეოდა, მხოლოდ ამრევათ.

ერთი ასეთი მაგალითია მოსკოვთან დამოკიდებულება. იმის მაგიერ, რომ გვერდში ამოდგომოდა ევროპას, მოსკოვის დამგრევე მუშაობის წინააღმდეგ, ტრავისტების ინგლისი ხელს უწყობდა მას. მსოფლიოს «მეექვსედი» იქცა მონურ შრომის ასპარეზად, კოლექტივიზაციამ გაანადგურა გლეხობა, ხუთწლედ მიზნების იავ საქონლით უპირებს ქვეყნიერებას წალეკვას—დამპინგი, კომინტერნის თარეში კიდევ სხვაა, და ევროპა კი დაქსაქსული უყურებს ყველა ამას, ინგლისი წინააღმდეგია ყოველგვარი შეთანხმებისა თავდასაცავათ. საქმე ისე შორს მიდის, რომ იარაღსაც კი ჰყიდის მოსკოვს, გერმანია ხომ ანახლებს და აძლიერებს მოსკოვის შეიარაღებას, ამერიკა ტენსიკოსებს უგზავნის მას...

და ასეთ პირობებში. რაღა გასაკვირველია. თუ 1930 წლის ბოლოს იმის მოახლოებაზე მოუხშირეს ლაპარაკი. ერთად ერთი სახელმწიფო, რომელიც არ კარგავდა სულის სიმშვიდეს და წინათ-სწორობას, იყო საფრანგეთი. ეს აიხსნებოდა უმთავრესათ იმით, რომ აქ არ მძვინვარებდა უმუშევრობა, ეკონომიური საქმიანობაც შედარებით უფრო ნორმალური იყო. ამის მაჩვენებელი ისიც იყო, რომ ოქრო, ვალიუტა, ფასიანი ქაღალდები ყველა ქვეყნიდან პარიზისკენ მოეშურებოდა, ასე რომ საფრანგეთის ბანკს დღეს მეორე ადგილი უჭირავს და შეიძლება თვით ამერიკასაც გაუსწროს და პირველობა წაართვას.

ჩვენ დავსახეთ 1930 წლის ბნელი მხარეები და ამით შეგვეძლო დაგვემთავრებია, მაგრამ უნებავში ისეთი ამბები მოხდა ამ იანვარს, რომ შეუძლებელია მათი გვერდის ავლა. იქ შესდგა პირველათ ევროპის ფედერაციის კომისის სხდომა, ბრიანის თავმჯდომარეობით. ერთა ლიგის წლიურმა ყრილობამ რომ დაარსა სექტემბერს. თითქმის ერთი კვირა იკამათეს იმას შესახებ, მოწვეულ იქნან თუ არა, კომისიის წევრებად საბჭოები და ოსმალეთი, და ეს წინადადება შეიტანეს გერმანიის და იტალიის საგარეო მინისტრებმა, კურციუსმა და გრანდიმ. მათ მიეკედლა ჰენდერსონი, ხოლო ბრიანი წინააღმდეგა. აქ გამოჩნდა, როგორც ხედავთ, უკანასკნელი წლის მახინჯი გადაჯგუფება. რით გათავდა? საბჭოებს,

ოსმალეთს და ირლანდიას მიიწვევენ, მაგრამ არა წევრებად, არამედ ეკონომიურ კითხვების გარჩევის დროს. მაშასადამე, გაიმარჯვა საღრა აზრმა. ამას მოჰყვა მუდმივი კომიტეტის დაარსება კომისიის დადგენილებების სისრულეში მოსაყვანად, სხვათა შორის, აღმოსავლეთ ევროპის მიწათმოქმედების კრედიტით დახმარება, მათი ხორბლისათვის ბაზრის გაჩენა ევროპაში. რასაკვირველია, ეს ძალიან ცოტაა, ფედერაცია სულ სხვას გულისხმობს, მაგრამ ევროპის 27 სახელმწიფოს ერთად ამუშავება და ერთ ორგანიზაციაში მოყოლა უკვე დიდი პროგრესია თვის თავად,

მეორეს მხრით, ერთა ლიგის საბჭომ, რომელიც იქვე გაიხსნა, დაადგინა განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია მოწვეულ იქნას 2 თებერვალს 1932 წ. როგორც გვანსოვს, მოსამზადებელი კომისია 5 წელიწადი მუშაობდა ამისთვის, ნოემბერში მან კონვენციის პროექტიც შეიმუშავა, მაგრამ კონფერენციის მოწვევას სდებდენ და ეს იწვევდა ერთგვარ გამწვავებას. ესლა ეს დაბრკოლებაც ძლეულია. საბჭოს მეორე ფაქიზი კითხვაც ჰქონდა განსახილველი: გერმანელ უმცირესობათა პეტიცია ნემო სილონიიდან პოლონეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. მკაცრათ დაუპირდაპირდენ ერთმანეთს კურციუსი და ზალესკი, გერმანიის და პოლონეთის საგარეო მინისტრები, ასე გვეგონებოდათ მათი მორიგება არ მოხერხდებოდა, მაგრამ აქაც გამონახულ იქნა კომპრომისი და მხარეებიც დაშოშმინდენ.

ამ რიგათ, განიარაღების კონფერენციის მოწვევა, ევროპის ფედერაციისათვის პრაქტიკულ მუშაობის დაწყება მაჩვენებელია იმისი, რომ წინ მივდივართ და არა უკან, და ომზე ლაპარაკი ნაადრევია. ამ მხრივ ფრიად საყურადღებო ყესტი გააკეთეს ბრიანმა, ჰენდერსონმა, კურციუსმა და გრანდიმ: შეადგინეს სულ მოკლე მანიფესტი ყველა ერებისადმი, სადაც ნათქვამია: მიუხედავათ ეკონომიურ კრიზისისა და პოლიტიკურ გამწვავებისა ზოგ კუთხეში, ჩვენი მთავრობები ომს არას გზით არ დაუშვებენ და ყოველგვარ დავას ერთა ლიგაში შევიტანთო. მანიფესტს ხელი მოაწერეს 27 სახელმწიფოს საგარეო მინისტრებმა და პრემიერებმა.

ამასობაში სტევის სამინისტრო დაეცა და, რაცა დუმერგმა მიმართა ბრიანს სამინისტრო შეადგინეო, მან უარით უპასუხა ყენევიდან. დაასახელა ორი მიზეზი: ა) ევროპის ფედერაციის საორგანიციო კომისიის სათავეში ვარ, პრემიერობისთვის დრო არ დამრჩებაო და ბ) თუ ევროპა არ დაირაზნა სოლიდარულათ, თანამედროვე ეკონომიური კრიზისი ბოლშევიზმს კარს უღებსო.

მაშასადამე, ბრიანი არ მალავს, თუ რისთვისა არის საქირო ევროპის ფედერაცია! მოსკოვი გაჰკვივის ომს ამხმდებენ ჩემთვისო, არა, ომს არ ამხმდებენ, მაგრამ მოსკოვის ბნელ განზრახვებს კი გაუმკლავდებიან. აი, რით იწყება 1931 წელი, და გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ გაკოტრებულ მოსკოვს გასახარი არაფერი დარჩა: შინ უფსკრულის წინ მდგომს, გარედანაც არ დაეყრება ხეირი.



ო ს მ ა ლ ე თ შ ი

სახალხო პარტია და ლიბერალები.—
თვალი რუსეთისა და იტალიისკენ.—
რა ნასა ქმალმა მოგზაურობის დროს.

უკანასკნელი დროის პოლიტიკურ-სარწმუნოებრივ შეთქმულების აღმოჩენამ სმირნის მახლობლად კვლავ გააცხადებულა ევროპის საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ოსმალეთს საქმეების მართ. მაგრამ ჩვენთვის ქართველებისათვის ყოველთვის საინტერესოა ფიზიკალური ვადენით თვალყურით თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებას და კარგათ ვიცოდეთ ჩვენი ახლოებული მეზობლის ავი და კაი, რომელთანაც წარსულში ფართო ურთიერთობა გვექონდა და ალბათ მომავალშიაც გვექნება.

შარშან ზაფხულში რომ ანგორაში ერთად ერთი სახალხო პარტიის გვერდით მეორე, რესპუბლიკანურ-ლიბერალური პარტია დაარსდა ფეთი ბეის მეთაურობით, ყველას ასე ეგონა, რომ თურქეთი ახალ პოლიტიკურ გზას დაადგა და დიდ ცვლილებას მოელოდნენ. მაგრამ ახალი პარტიის არსებობა სამთვის ძლივს გაგრძელდა და საკუთარის გადაწყვეტილებით დაიშალა. ნოემბრის 15—ს პარლამენტში ფეთი-ბეიმ საჩივარი განაცხადა მთავრობის წინამდებე ახლად დამთავრებულ მუნიციპალურ არჩევნების გამო: ყველგან მთავრობის აგენტების ძალმომრეობა იყო გამოვლენილი და ამიტომ მოხდა მხოლოდ, რომ სახალხო პარტიის წევრებმა გაიმარჯვეს და არა ლიბერალებმა. შინაგან საქმეთა მინისტრმა უპასუხა: თქვენ უწყისობას და არეულობას იწვევდით და მთავრობა იძულებული იყო საქმეში ჩარეოდა. მინისტრს მხარი დაუჭირეს სახალხო პარტიის დეპუტატებმა და ოპოზიციონერებს, ე. ი. ლიბერალებს «ანარქისტები» უწოდეს.

იმავე საღამოს შეიკრიბა ლიბერალური პარტიის კომიტეტი და თავისი პარტია გაუქმებულათ გამოაცხადა და ეს გადაწყვეტილება ასე დაასაბუთა: რესპუბლიკის პრეზიდენტი, გაზი მუსტაფა ქემალი დიდან ეროვნული რევოლუციისა სახალხო პარტიის თავმჯდომარე იყო; დღესაც არის, მიუხედავად ლიბერალების მოთხოვნისა, რომელთაც უნდოდათ, რომ პრეზიდენტი პარტიების გარეშე ყოფილიყო; წინამდებე შემთხვევაში ლიბერალები ადრე თუ გვიან იძულებულნი შეიქნებოდნენ გაეღაშქრნათ გაზის წინამდებე, რაიც მათ არავითარ გარემოებაში არ სურთ. ამიტომ უმჯობესად სთვლიან სრულებით დაითხოვონ თავისი ახალგაზდა ორგანიზაცია.

ამ ამბავს მოყვა ლიბერალების დამცველთა და სახალხო პარტიის განუთების პოლიტიკა, რომელმაც ხანდახან მეტად ცხარე ხასიათი იქმნილ. ოპოზიციის მომხრე «იარინ» სწერდა 17 ნოემბერს: «ფეთი ბეის პარტიის ცემით უნდა მოეპყრას ყველა მოქალაქე, რომელსაც თავისუფლება უყვარს. ჭეშმარიტად სამწუხაროა, რომ ისეთმა ადამიანმა, როგორიცაა ვასილ ბეი, ბანდიტების და დამნაშავეთა სახელი უწოდა პარტიას, რომელშიაც ათასობით ირიცხებიან პატიოსანი მოქალაქენი... რაც შეეხება ხა-

სან ბეის. მას იმდენად სძულს ფეთი ბეის პარტია, რომ მოითხოვა ყველა ლიბერალის დატუსაღება და პასუხის გებაში. მიცემა. განაკუთრებით აღშფოთებდას იწვევს ალი ბეის საქციელი: მან არა თუ დაუსაბუთებელი ბრალდება წამოაყენა ფეთი ბეის წინამდებე, არამედ მოითხოვა «სისხლის გამოშვება». იგივე «იარინ» 19 ნოემბრის ნომერში ამბობს: «ლიბერალების პარტიის მოსპობა ნიშნავს იმას, რომ თურქეთი კიდევ უფრო დაშორდა დემოკრატისს». ხოლო ლიბერალების ფრანგული გაზეთი la Turquie liberale ასე ამართლებს ფეთი ბეის საქციელს: «ფეთი ბეი არასოდეს დასტოვებდა ბრძოლის ველს, ამის დადასტურება შეგვიძლია ყველას. მაგრამ ამ ბრძოლისათვის საჭირო იყო, რომ მისი მოწინააღმდეგენი ყოფილიყვნენ ლიბერალები, რომ ბრძოლა ეწარმოებიათ მარტო იდეების და რწმენათა ნიადაგზე».

ლიბერალებს უპასუხებს სახალხო პარტიის განუთებმა და აღნიშნეს, რომ თავისუფლების მალაა სამშობლოს და რესპუბლიკის დაცვა. გაზეთი «ახშამი» სწერდა 17 ნოემბერს: «თავში ყველა კმაყოფილი იყო ახალი პარტიის დაარსებით. ვეფიკობდით, რომ იგი ხელს შეუწყობდა უკეთეს მუშაობას. საუბეროთ სინამდვილემ წინამდებე გვიჩვენა. ვიდრე პარლამენტში გამოვიდოდა, ლიბერალური პარტია შეუდგა სამწუხარო მოქმედებას—დაიწყო ორგანიზაციების შეკვრა, განყოფილებების გახსნა და თანამოაზრეთა შემოკრება. ექვი არაა, რომ ამ ორგანიზაციებს სათავეში ჩაუდგნენ არა გულწრფელი რესპუბლიკელები, არამედ ისეთები, რომელთაც უნდოდათ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა». სახ. პარტიის მეორე გაზეთის «მილიეთ»-ის 22 ნოემბრის ნომერში ვკითხულობთ: «ჩვენ ვიყავით იმათ შორის, რომლებიც ამბობდნენ, რომ ფეთი ბეი სახიფათო ავანტიურაში გადავარდა. მისი მღვწვარე მოგზაურობის შემდეგ სმირნაში ვსთქვით: საცოდავი ფეთი ბეი! მან ააფრიალა დროში სახელმწიფოს წინამდებე, ეროვნულ კანონების წინამდებე, სამშობლოს მთლიანობის წინამდებე! უზრუნველად, უგუნურად ის გაყვა ტალღას, რომელმაც დღეს უფსკრულამდე მიიყვანა... ლიბერალების პარტიის დათხოვება არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენში მოისპო მსჯელობის თავისუფლება და კანტორლის უფლება. მაგრამ ჩვენ არ მივცემთ ყვირილის ნებას დემოკრატებს, რომლებიც ხალხის გაკვივრების სპეკულიაციას ეწვეიან, და არც ორმაგი სახის პოლიტიკოსებს და ქუჩაში მოხეტიალეებს, ცილი დასწამონ ჩვენს ეროვნულ დაწესებულებებს».

ლიბერალური პარტიის დაშლამ, რასაკვირველია, საქმე არ გამოასწორა, ეკონომიური და ფინანსიური გაკვივრება და ხალხის უკმაყოფილება ისევ არსებობს. სახალხო პარტია, რომელიც ისევ ერთად ერთი პარტია დარჩა თურქეთში, შეუდგა თავის ორგანიზაციების და მუშაობის გადასინჯვას. ამავე დროს ქემალ ფაშა გაემგზავრა პროვინციების მოსავლელად, რათა პირადათ გაცნობოდა ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობას.



ამ მოგზაურობის გამო ყოფილ ლიბერალებს გაზნეთი «ინკილაპ» სწერდა (25 ნოემ.): «მეტად ნათელია ის მოსაზრებანი, რომლითაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მეთაური—მას პირადათ სურს. ნახოს თუ მართლა არსებობს უკმაყოფილება და შეისწავლოს ამის მიზეზი. ამიტომ, რომ განი მივიდა ხალხთან, ყური მიაპყრა მის ტიკვილებს და განსაკუთრებით უსმენს ახალგაზრდას. ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი გეგმა აქვს განის. მაგრამ ცხადია, რომ დაბრუნებისას ის ძირიანად შესცვლის სახალხო პარტიას, რომელიც თვითონ დაარსა. ეს რეფორმა აუცილებელია, პარტია დღეს თავის სიმალეზე არაა... თუ ეს ცვლილება მოხდა, მაშინ სრულიად ზედმეტია მეორე, საოპოზიციო პარტიის არსებობა, რომელმაც კანტროლი უნდა გაუწიოს მართველ პარტიას. განა კომუნისტური რუსეთის და ფაშისტური იტალიის მაგალითი არ გვეუბნება, რომ შესაძლებელია არსებობდეს ერთი პარტია. მაგრამ იყოს კრიტიკის და პრესის თავისუფლება?»

თითქოს ამ აზრის გასამართლებლად «ახშამის» (სახ. პარ.) 28 ნოემ. ნომერში დაბეჭდილი იყო ასეთი ცნობა: «დაქინებით ლაპარაკობენ. რომ სახალხო პარტია დანაწილდება სამ შტოდ: მარჯვენა ფრთა, ცენტრი და მარცხენა. მარცხენას ხელმძღვანელი იქნება ყოფილი მინისტრი მაკმუდ ესათ ბეი. ცენტრის —პარლამენტის თავმჯდომარე ქიანი ფაშა და მარჯვენასი დეპუტატი ალიბეი. იქნება ერთი პარტია, ხოლო ყოველ წევრს შეეძლება რომელ ფრთასაც უნდა, იმას მიემხროს».

ამ საკითხმა—ერთი პარტია თუ რამდენიმე პარტია—თავის მხრით ახალი კამათი გამოიწვია თურქულ პრესაში და ასეთი მიმართულება მიიღო: თურქეთისთვის რა უფრო შესაფერისია—დასავლეთ ევროპის (საფრანგეთის, შვეიცარიის, ამერიკის და სხ.) მაგალითი, თუ რუსეთის და იტალიის, რომელთანაც ანგორის რესპუბლიკას ყველაზე უკეთესი განწყობილება აქვს?

და გაზეთი «მილიეთ» (2 დეკ.) პირდაპირ ამბობს: ჩვენს მარჯვნივ და მარცხნივ ორ დიდს რევოლუციონურ ორგანიზაციას ხელში უკავია ორი დიდი ერის ბედი (ლაპარაკია რუსეთსა და იტალიაზე. «დამ. საქ.»). ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ ამ ორგანიზაციებისაგან. ამიტომ ვისაც სწადია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო პარტიის რეფორმა, მან ჯერ კარგად უნდა შეისწავლოს ახალი საოპოზიციონერი აღმშენებლობის ახალი მეთოდები». ამავე დღის ნომერში მეორე გაზეთი «ჯუმურიეთ» ეკამათება იმათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ ქემალი პარტიათა ურთიერთობაში ნეიტრალური უნდა იყოს. გაზეთი ფიქრობს. რომ თურქეთი იყო და არის რევოლუციონური რესპუბლიკა; ცთებიან ლიბერალები, ჩვენი რევოლუცია არ გათავებულა, გრძელდება. გაზეთი «მილიეთ» 4 და 6 დეკემბერს ხელახლა უბრუნდება საკითხს და ამტკიცებს, რომ სრულებით საქირო არაა მეორე პარტია და მართველს პარტიას (სახალხო) თვითონვე შეუძლია გაუწიოს თავის თავს კრიტიკა და კანტროლი, და მკითხველს მიუთითებს ფაშისტურ იტალიაზე.

როგორც ვხედავთ ალენიშნეთ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა ქემალ ფაშამ მთელი თურქეთი შემოიარა, რომ პირადად გაცნობოდა ქვეყნის მდგომარეობას, გაეგო. მართლა გაჭირვებულია თუ არა და უკმაყოფილო ხალხი, როგორც ამას ამბობდენ ლიბერალები. პირდაპირი ცნობები არაა, თუ რა ნახა ქემალმა, არც თვითონ რამე უთქვამს თავის მოგზაურობის დროს. მაგრამ მაინც ცხადია, რომ პრეზიდენტი ყველგან გაჭირვებას და უკმაყოფილებას შეხვდა. ამას უნება გაზეთი «მილიეთ» 10 დეკ. ნომერში და ამტკიცებს, რომ უკმაყოფილების მიზეზი სრულებით არაა ის გარემოება, რომ რევოლუციამ დიდი რეფორმები მოახდინა და ძველი წესები შესცვალა. ხალხი, ამბობს გაზეთი, სრული ნდობით უტყუროს თავის მხსენლს განის და მისი რეფორმები მიაჩნია ქვეყნისთვის სასარგებლოთ. მაგრამ უკმაყოფილოა იმით, რომ ცუდადაა მოწყობილი მისი ურთიერთობა მთავრობასთან. ამავე მოვლენას აქვს ყურადღებას გაზეთი «ჯუმურიეთ» და უბედურებას ხედავს იმაში, რომ უვარგისია ადმინისტრატული მექანიზმი, და ხალხს არ შეუძლია ადვილად მიუდგეს მოხელეებს. გაზეთი «პოლიტიკა» თავის მხრით ამბობს: დიდი დანაშაული იქნებოდა იმის თქმა, რომ ჩვენი მოხელენი უნეტონი და დასაწუნნი არიან; არა, საერთოდ ამას ვერ გიტყვი, მაგრამ კერძო შეცთომებს აქვს ადგილი. ხოლო მთავარი ისაა, რომ ცხოვრებასთან საქმათ შეფარდებული კანონები დღემდის არა გვაქვს და საქიროა თვით ადმინისტრატული წყობილების შესწორება.

სახალხო პარტიის გაზეთები ამავე დროს არ ივიწყებენ ლიბერალებს და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხალხს არავითარი ნდობა არა აქვს იმ პირების (ლიბერალების), რომლებიც ვითომც ხალხის დამცველებად გამოდიან, მაგრამ ნამდვილად სულ სხვა ფარული მიზნები აქვთ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ გ ე მ ი
(გაზეთებიდან)

მოსკოვში ვაიმართან. ფიროსმანიშვილის სურათების გამოფენა. იქიდან გამოფენა გადმოტანილი იქნება გერმანიაში. გამოფენას ხელმძღვანელობს მხატ. შევარდენაძე.
— ქართველ მწერალთა ფედერაციის საბჭომ თავის წრიდან გარბცხა აგრე წოდებული «აკადემიურ მწერალთა ასოციაცია», როგორც ანტისაბჭოთა ელემენტებისაგან შემდგარი.
— საქ. კომპარტიის ცეკა სასტიკ გაკიცხვას უცხადებს გაზეთ «კომუნისტის» რედაქციას იმისთვის, რომ ჯეროვანად არ აწარმოვა ბრძოლა სირცოვლომინამის მუშაობის წინააღმდეგ. დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოანახოს ნომები, რომ მომავალში არ განმეორდეს მსგავსი რამ.
— გურჯაანის რაიონში გლეხებმა მოსაკრეფ ბამბიანი ადგილები ერთიან გადახნეს, რომ ბამბა მთავრობას არ მისცენ.



— ა. კ. საოლქო კომიტეტმა კიროვის მოხსენების შემდეგ კოლპტაციის წესით აირჩია ექვსი ახალი წევრი და დანიშნა ახალი ბიურო, რომელშიაც შედიან ლ. ქართველიშვილი, ს. მამულია, მახარაძე, ორახელაშვილი, ცხაკაია, ელიავა და სხ. კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნა ქართველიშვილი.

— გუდაუთის რაიონში ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეობის ფარდულს და სასიმინდეს. დაიწვა ოთხი ათასი მწერი თამბაქო და ორი ათასი ფ. სიმინდია.

— ფინანსთა კომისრად დაინიშნა ან. დოლიძე და შრომის კომისრად კირ. ოდილავაძე.

— ს. ნარაჯენის (ზუგდ. მ.) საბჭოთა მეურნეობაში დალპა 5 ათასი ფ. სოია.

— ს. ანაკლიაში (ზუგდ. მ.) პარტიულები და კომკავშირელები არ აბარებდნენ სიმინდს და ხელს უშლიდნენ დამზადებას.

— ბევრს ორგანიზაციას შემონახული აქვს საღმმენებლო მასალის დიდი მარაგი, მათვის სრულიად გამოუსადეგარი, რომელიც «რუდნეტალტორგისათვის» უნდა ჩაებარებიათ, მაგრამ არ აბარებენ.

— ს. ნაქალაქევში დაიწყეს გათხრები გერმანელ გეოლოგის მნაიდერის ხელმძღვანელობით. ამ განაფხულიდან ასეთი გათხრები დაიწყება მცხეთაში.

— სიმინდის დამზადება 25 დეკემბრისთვის შესრულებული იყო 24 პროცენტით.

ს ა ზ ო თ ა რ უ ს ე თ ე ბ ი

(ეურნალ-გაზეთებიდან)

მოსკოვში შეიკრიბა რელიგიის წინამდევ მებრძოლი კონგრესი. კონგრესს დაესწრენ უნივერსიტეტის პროფესორები. მისი მიზანი იყო ანტირელიგიური პროპაგანდის რვეიზია. მან აღნიშნა, რომ ანტირელიგიური პროპაგანდა იძლევა წინამდევ შედეგებს, რომ ხალხში რელიგიური სულისკვეთება ძლიერდება და შორეულ, მივარდნილ კუთხეებში ეს სულისკვეთება მახინჯ ფორმებსაც ღებულობს, მაგალითად, ციმბირში ხალხი უბრუნდება წარმართობას: იყო შემთხვევები ადამიანის მსხვერპლათ შეწირვისა.

— «პრავდა» მწუხარებით აღნიშნავს, რომ ბოლშევიკურ ლიტერატურას არ კითხულობენ, მაშინ როდესაც ძველ ავტორებს და უცხოეთის ნათარგმნ ლიტერატურას დიდი გასავალი აქვს.

— საბჭოთა მთავრობა ენერგიულად განაგრძობს სამხედრო სამუშაოს. ქიმიური და საჰაერო თვითდაცვის საზოგადოება დღითი დღე ძლიერდება. ნოემბერში საზოგადოებამ 2 მილ. წევრი შეიძინა და შეაგროვა 6 მილიონი მანეთი საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლათ. აგრეთვე დაარსეს «თვით დაცვის კლუბები», რომლების წევრები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ შემხუთავ განების ვარჯიშობაში.

— სახელმწიფო მალაჩიებში სურსათი არ მოიპოვება, სამაგიეროთ იქ დიდია რაოდენობა არაყის. არაყი იყიდება შედარებით იაფად და რაოდენობის განუსაზღვრელათ. ზოგიერთი ქარხნები განსაკუთრებით დონეცის რაიონში, წინადადებას აძლევენ მუ-

შებს სამუშაო ქირაში მიიღონ არაყი და შემდეგ გაყიდონ გლეხებზე, რომლებიც ყოველთვის მზათ არიან შეიძინონ არაყი, თუნდაც ძლიერ აწეულ ფასებში.

— მოსკოვში დაარსდა ახალი საზოგადოება, რომლის მიზანია უცხოეთიდან შემოტანილ საქონელთან ბრძოლა პროპაგანდით თუ სხვა საშუალებებით. საზოგადოებამ გააკრა მოსკოვში და პეტროგრადში განცხადებები, სადაც ურჩევს მცხოვრებლებს ბოიკოტი გამოუცხადონ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს, რადგან ეს საქონელი საერთო კრიზისის მიზეზი.

— მთავრობამ გამოსცა ახალი დეკრეტი კოლექტივიზაციის შესახებ. ამ დეკრეტით 1931 წ. პირველ ტრიმესტრში 80 პროც. მიწის უნდა იქნეს კოლექტივიზების ხელში. წლის ბოლოს კი კოლექტივიზაცია სავსებით უნდა დასრულდეს (ასი პროცენტი). გლეხებზე დეკრეტმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. გლეხები ანადგურებენ ოთხფეხს.

— განათლების კომისარიატის განკარგულებით ყველა პროფესორები და მასწავლებლები უნდა იყვნენ «ურწმუნოთა ლიგის» აქტიური წევრები. ვინც ფაქტიურად არ დამტკიცებს ლიგის წევრობას, დათხოვნილ იქნება სამსახურიდან.

— ამავე კომისარიატმა წარუდგინა მთავრობას პროექტი, სადაც მიათხოვს ლათინური შრიფტის შემოღებას საბჭოთა კავშირში სმარებულ ყველა ენებისათვის. პროექტი სისრულეში მოყვანილ უნდა იქნეს 1933 წლისათვის.

— ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: შეწყდეს დაუყონებლივ საზოგადოების ექსპორტი უცხოეთში. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, რადგან ექსპორტმა გემების დამტვირთავ მუშების არეულობა გამოიწვია.

— კომუნისტურ პარტიაში ფრაქციათა ბრძოლა მწვავედბა. პოლიტბიუროს სხდომაზე, სადაც ეს საკითხი სპეციალურათ ირჩეოდა, კალინინის, ვლ. რაზინის და მოლოტოვის სიტყვების შემდეგ დადგინდ იქნა—სასტიკი ბრძოლა მემარჯვენე ოპოზიციის წინამდევ. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მიენდო გეპეუს. მოსალოდნელია პარტიის თვალსაჩინო წევრების დატუსაღება.

იზვიათი გმიკის დაღუპვის გამო

სპარსეთში არსებული ეროვნული კომიტეტი უაღრეს მწუხარებას გამოსთქვამს ერისათვის თავდადებული გმირი ნოე რამიშვილის უდროვოდ დაკარგვის გამო. ქართველებისთვის, განურჩევლად მისი პოლიტიკური მრწამსისა, ეს დანაკლისი ბასრი ისარივით გულზე დაეცემა ყველას, ვინაიდან ნოე დიდი შვილი იყო ქართველი ერის და ამ გულსაკლავ ამბავს ერთნაირი სიმძიმით იგრძნობს ქართველი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი, ვინაიდან ნოე თავგამოდებით იბრძოდა საქართველოსათვის... იღვრება აუარებელი სისხლი ერის ღირსეული შვილების, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლების გარეშეც. აუარებელი ქართველობა ცივ სამარეს ებარება ციმბირისა და სოლოფკის მიდამოებში. მტარვალნი

არ კმაყოფილებიან მასიური გადასახლებით და ქართველი ერის შვილების ტყვისსმფრქვევლით გაქვლიტით, და აი ახლა ვერაგულად გაუგმირეს გული ბრძოლის ერთ-ერთს წინამძღოლს. ქართველ ერს ისინი ამით ვერ შეაშინებენ, ვინაიდან ჩვენ ასეთი დანაკლისი ბევრი გვქონია და ქართველი-დედა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით—ქუჩუთი ზრდის თავის შვილებს, რათა მალე გამოიყვანოს იგინი ბრძოლის ველზე დაცარიელებულ რიგების შესავსებათ. ქართველი ერი იმავე სიძლიერით ეხეთქება დღეს შემოსეულ მტერს. როგორც ამას ქონია ადგილი მის ისტორიულ წარსულში. განა ქართველი ერისთვის სულ ერთი არ არის, კავკასიის ქედი გადმოლახული იქნება გენ. ციციანოვის თუ დეგერენატ სერგო ორჯონიკიძის მიერ??? ორივეს მიზანი ერთი და იგივეა—საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ იმპერიალისტური ზრახვებისათვის, რომელსაც ვერ ურიგდება ქართველი ერი თავისი ღირსეული შვილებით. განისვენე, ღირსეულო გმირო, უცხო სამარეში. განთავისუფლებული და განახლებული საქართველოს მიწა თქვენს წმინდა ნეშტს ისე დედაშვილურად ჩაიხუტებს, როგორც ამას ჩაიდენს თავისი ღირსეული შვილის კარლოს და ქაქუცას მიმართ.

სპარსეთში არსებული საქ. ეროვნული
კომიტეტის თავ-რე ოთარი.
მდივანი ახპირდზი.

ჩაინდ უზკოხის ხსოვნას

ლაჩარმა მტერმა ქურდულად მოუსპო სიცოცხლე, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე საუკეთესო და შეუდარებელ მებრძოლს საქართველოს თავისუფლებისათვის დიდ ქართველს, ნოე რამიშვილს.

მისი სახით ჩვენი ერი ჰკარგავს თავისუფლებისათვის თავდადებულს და შეუპოვარ ჩაინდს. დიდია ეს დანაკლისი ჩვენთვის.

ჩვენ მისი თანამშრომლები—შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო რაზმის ყოფილი წევრები ცხარე ტრემლით ვსტირით მთელ ერთან ერთად მის უდროვო დაკარგვას.

ყოფილი რაზმის უფროსი მექი კედია. თანაშემწეები: ი. ჯანელიძე, ა. ჩიკვაძე, შ. ქარცივაძე, კ. ჯაყელი. თანამშრომლები: დ. ერქვამიშვილი, ა. კვიციკელი, დ. მხეიძე, ი. რუხაძე, კ. მასხარაშვილი, გ. გამყრელიძე, ვ. ახვლედიანი, ს. სეფისკვერაძე, ს. ნიკიფორაშვილი, ა. გაგუა.

მარო რამიშვილი და შვილები უღრმეს მადლობას უძღვნიან ყველას—ოფიციალურ პირთ, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს თუ კერძო პიროვნებათ, ვინც წყრილობით თუ პირადად თანაგრძნობის გამოცხადებით პატივი სცეს მათთვის ძვირფასს და დაუფიწყარ მეუღლის და მამის, ნოე რამიშვილის ხსოვნას.

მატიველები საზოგადოებაში

კვირას, იანვრის 25-ს ნაშუადღევს სამ საათზე Ragneux სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია ნ. რამიშვილის ნეშტი, მისი გარდაცვალების ორმოცი დღის შესრულების გამო გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო დიდალი საზოგადოება, როგორც ქართველობა ისე უცხოელები. იყვნენ მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ჯორდანია, მთავრობის წევრები, ელჩი ა. ჩხენკელი და სხ. განსვენებულის საფლავი მრავალი თაბგულით იყო შემკული. პანაშვიდი გადაიხადა მღ. შ. ვარდიძემ, გალობდა მოყვარულთა გუნდი მოსულიშვილის ლოტბარობით.

— იანვრის 20-ს «საკრე კიორ»-ის ტაძარში დასვენებულ იქნა წმ. ნინოს ხატი, რასაც დაესწრო აუარებელი ხალხი. შანუან კენემ დიდი სიტყვა წარმოთქვა საქართველოზე. ტაძარში საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩვენს ელჩ ა. ჩხენკელს, რომელმაც შემდეგ მადლობა გადაუხადა შ. კენეს.

«დამ. საქ.» კანტორა
სთხოვს ხელის მომწერლებს გამოგზავნონ
მათზე დარჩენილი ხვედრი ფული.

დაისტამბა და იყიდება
ხელგონებისა და მკვნიგონების კრებული:
„კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“

წიგნი მესუთე
შემდეგი შინაარსით: * * ნოე რამიშვილი (ბიოგრაფია); რეო ამონი—ქ. ჩოლოყაშვილის სიმღერა; ვლასა მგელაძე—გოდება; მ. მარუშიძე—ვარდენი (მოთხრობა); გიორგი ყიფიანი—გრძნობის ძახილი (ლექსი); გიორგი ქურული—«ნატურის თვალი» (ნახულგაგონილი); გიორგი ყიფიანი—შავი საათი (ლექსი); ა. ქეიბური—ძველი რვეულიდან ნასესხები ამბები; ბ. ბებურიშვილი—მე, ბედი და შენ; თამ. ისახარ—დიდი ემიგრანტი (არჩილ მეფე); ი. მანწყავა—საბრალმდებლო ოქმი; მ. ხუნდაძე—დიდი ბრიტანეთი და ინდოეთის პრობლემა.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
V. NOZADZÉ
48, rue de Bagneux, Sceaux (Seine) France.

გ ა შ ე თ ი ს ფ ა ს ი:
ერთი წლით 20 ფრანკი.
ნახევარი წლით 10 ფრანკი.
ერთი ნომერი 2 ფრანკი.

დასაბეჭდი წერილები, ცუელი და სხვა უნდა გამოიგზავნდეს შემდეგი მისამართით:
M-r O U R A T A D Z E
10, rue Jules-Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France